ახალი განათლება

30.05-05.06.2019

№21 (855) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

არა ძალადობას!

1978 წელს, როდესაც ასტრიდ ლინდგრენს გერმანიაში პრესტიჟულ „მშვიდობის პრემიას“ გადასცემდნენ, მან წარმოთქვა სიტყვა, რომლის შემდეგაც შვედეთში, კანონმდებლობით, სრულად აიკრძალა ბავშვების ფიზიკური დასჯა ოჯახებშიც და სკოლებშიც.

„კაცობრიობა თავისი არსებობის დღიდან იბრძვის და ომობს. ჩვენი მსხვრევადი, მყიფე სამყარო გამუდმებით საფრთხის ქვეშაა. იქნებ დადგა დრო, ვკითხოთ საკუთარ თავს, თავად ხომ არ ვაკეთებთ ყოველდღე ისეთ რამეს, რასაც მუდმივი კონფლიქტებისკენ მივყავართ? როგორ გავხდეთ უკეთესები და როგორ დავვიწყოთ აგრესია?

მიმაჩნია, რომ საწყისთა საწყისიდან უნდა მოვყვეთ, ანუ ბავშვებიდან! ძალიან მალე სწორედ ისინი გახდებიან ამ პლანეტის მმართველები და მათი გადასაწყვეტი იქნება, განაგრძონ აგრესია თუ სიხარულსა და მშვიდობაში იცხოვრონ.

მახსოვს, როგორ შოკში ვიყავი, როცა გავაცნობიერე: ჩვენ გვმართავენ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ ღვთაებრივი წინასწარმეტყველებისა და სიბრძნის უნარი. ისინი ჩვენნაირები არიან – თავიანთი სისუსტეებითა და ვნებებით, მაგრამ ხელთ უპყრიათ ძალაუფლება. რატომ იღებენ ეს ადამიანები ესოდენ უვარგის გადაწყვეტილებებს? ბუნებითი ბოროტების გამო ხომ არა?

მე ასე არ მგონია. ბავშვი დაბადებისას არც კარგია და არც ცუდი. მაშ, ვინ წყვეტს, როგორი იქნება ის შემდგომში – კეთილი და გულისხმიერი თუ სასტიკი და გულქვა მარტოხელა მგელი?

ამას ჩვენ, მათი მშობლები ვაკეთებთ – ადამიანები, რომლებმაც ბავშვებს სიყვარული უნდა ვასწავლოთ, მაგრამ ზოგჯერ, ჩვენივე სურვილის წინააღმდეგ, საპირისპიროს ვჩადით.

ერთხელ ერთი პასტორის მეუღლეს შევხვდი, რომელმაც მითხრა, პირველი შვილი რომ შემეძინა, ცემის სიკეთისა საერთოდ არ მეჯერა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ბავშვების გაროზგვა ძალიან გავრცელებული მეთოდი იყოო.

მაგრამ მერე, როცა ბავშვი 4 თუ 5 წლისა გამხდარა, რაღაც ისეთი ცელქობა ჩაუდენია, რომ პასტორის ცოლს პრინციპებისთვის უღალატია და შვილის გემოზე გაროზგვა გადაუწყვეტია – პირველად ცხოვრებაში. ბავშვი თავად გაუშვია ეზოში წკეპლის მოსატანად.

ბიჭს კარგა ხანს დაგვიანებია და როცა დაბრუნებულა, სახე ერთიანად ცრემლებით ჰქონია სველი. მისულა და დედისთვის უთქვამს:

„დედიკო, წკეპლა ვერ ვიპოვე, მაგრამ ქვა მოგიტანე და შეგიძლია მესროლო“.

და ამ დროს დედას ცხოვლად შეუგრძვნია ბავშვის თვალით აღქმული ვითარება: თუ დედას უნდა ტკივილი მომაყენოს, მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, როგორ გააკეთებს ამას – წკეპლით თუ ქვით.

გულშეძრულ დედას შვილი კალთაში ჩაუსვამს და ერთად უტირიათ. მერე კი ბიჭის მოტანილი ქვა სამზარეულოს თაროზე შემოუდია, როგორც მუდმივი შეხსენება იმისა, რომ ძალადობა გამოსავალი არ არის.

ახლა თქვენ მკითხავთ: რა გამოდის, თუკი ბავშვების დასჯას შევწყვეტთ, ჰომო საპიენსის ახალ სახეობას გამოვზრდით, ყველა ერთბაშად გაკეთილშობილდება და ომები შეწყდებაო? რა თქმა უნდა, არა. ამგვარი უტოპიისა მხოლოდ საბავშვო მწერლებს შეიძლება ეჯეროთ. სინამდვილეში ჩვენი საბრალო სამყარო უამრავ რეფორმასა და ცვლილებას მოითხოვს. მაგრამ ჩვენი შვილები უყურებენ ტელევიზორს და ხედავენ, როგორ მძლავრობს აგრესია დედამიწაზე და შესაძლოა ფიქრობენ, რომ ეს ერთადერთი გზაა ყველა პრობლემის გადასაჭრელად. და ჩვენ საკუთარ სახლებში, ახლავე შეგვიძლია დავანახოთ მათ, რომ არსებობს სხვა გზა. ეს ისაა, რაც ჩვენ მშვიდობისთვის შეგვიძლია გავაკეთოთ.

არც ერთ ჩვენგანს არ აწყენდა ქვა სამზარეულოს თაროზე, რათა მუდამ გვახსოვდეს:

„არა ძალადობას!“

1 ივნისი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

პროფესიული განვითარება

გარდამავალი დოკუმენტი ძალაშია– რა ცვლილებები განხორციელდა სქემაში

პროფესიული განათლება

პროფესიული მასწავლებელი და კომპანიის ინსტრუქტორი – ორი უმთავრესი ფიგურა პროფესიულ განათლებაში

ხარისხის განვითარება

ახალი პროგრამა სწრაფად დასაქმების მსურველთათვის

სამოდელო გაკვეთილი

ÜÇBUCAQ VƏ ONUN ELEMENTLƏRI

დმანისის სოფელ ტნესის საჯარო სკოლის დირექტორის, მასნავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერის, შახვალათი ნაბიევის მიერ ჩატარებული გაკვეთილი

ПРОФЕСИУЛИ ГАНВИТАРЕБА

გარდამავალი დოკუმენტი ძალაშია– რა ცვლილებები განხორციელდა სქემაში

დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ცვლილებები. გარდამავალი დოკუმენტი უკვე ძალაშია და, შესაბამისად, ცვლილებები აისახება, ვიდრე 2020 წლისთვის მასწავლებლის პროფესიის რეგულირების წესი ამოქმედდება.

რა ცვლილებები შევიდა არსებულ სქემაში, რომელიც მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას ხელს შეუწყობს და რა გახდა ამ ცვლილებების საბაბი – ამის შესახებ გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი:

– რა ძირითადი ცვლილებები შევიდა სქემაში და რამ განაპირობა ამის აუცილებლობა?

– პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ რამდენიმე სახის პრობლემასთან შეიძლება გვქონოდა საქმე, თუკი ეს ცვლილებები არ განხორციელდებოდა.

პირველი ცვლილება სტატუსის შენარჩუნებას შეეხო. სისტემაში გვყავს უფროსი და წამყვანი მასწავლებლები, რომელთაც უკვე დიდი ხნის განმავლობაში ვპირდებოდით, რომ სტატუსის შენარჩუნებასთან დაკავშირებით ცვლილებები აისახებოდა არსებულ სქემაში, რომლის თანახმადაც, მათ სტატუსის შენარჩუნებაზე ზრუნვა აღარ მოუწევდათ. აქედან გამომდინარე, ისინი, რა თქმა უნდა, ენდნენ ამ განაცხადს და აღარ აგროვებდნენ სტატუსის შესანარჩუნებლად განსაზღვრულ კრედიტქულებს. ცვლილებით, რომელიც გარდამავალ დოკუმენტში აისახა, მასწავლებლებს მივეცით საშუალება, რომ სტატუსი ჩაეთვალოთ შენარჩუნებულად, ვიდრე მასწავლებელთა რეგულირების წესი არ ამოქმედდება და ის არ განსაზღვრავს რომელი სტატუსის მასწავლებელს რა სავალდებულო აქტივობა ექნება განსახორციელებელი იმისათვის, რომ პროფესიაში დარჩეს და მოსწავლეებს ხარისხიანი განათლება მისცეს.

მეორე ცვლილებით თვითშეფასების კითხვარი სარეკომენდაციო ხასიათის გახდა. ეს ინსტრუმენტი ძალიან მუშაა და მასწავლებელთა ნაწილისთვის მისაღებიც იყო. ახლა ნებაყოფლობითია და სავალდებულო აღარ იქნება. სკოლები, რომლებიც გადაწყვეტენ ამ ინსტრუმენტის გამოყენებას იმისთვის, რომ მასწავლებლის საჭიროებები დაადგინონ, მას გამოიყენებენ, თუმცა, ამის ვალდებულება აღარ ექნებათ. ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღეთ, რომ, ხშირ შემთხვევაში, ვალდებულებები ფორმალურ ვალდებულებებად გადაიქცევა ხოლმე და მასწავლებლები უკვე შინაარსს აღარ უყურებენ, არამედ ორიენტირებულები არიან რაღაცის შევსებასა და დასრულებაზე. ამ ცვლილებით ვალდებულებების წნეხი მოვხსენით.

ასევე, შეზღუდვები გვქონდა დაწესებული პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის – მათ დამატებით აქტივობებში 5 კრედიტზე მეტის დაგროვების უფლება არ ჰქონდათ, რაც, კარიერულ წინსვლაში, გარკვეულწილად, დამატებით ბარიერებს უქმნიდათ. თუკი მასწავლებელს შექმნილი ჰქონდა სხვადასხვა რესურსი, განხორციელებული – არაერთი აქტივობა, დასწრებული იყო ტრენინგებზე და ა.შ., ამის აღიარება ვერ მოხდებოდა 5-ზე მეტი კრედიტქულით. ცვლილებით ეს შეზღუდვაც მოვუხსენით მასწავლებლებს. შეზღუდვა ვრცელდებოდა სამუშაო შეხვედრების რაოდენობაზეც – წლის განმავლობაში, 3-ზე მეტ სამუშაო შეხვედრაზე არ შეიძლება ყოფილიყვნენ ჩართულები. თუკი მასწავლებლები კოლეგებს ხვდებიან და მათთან განათლებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ, ახლა ეს ყველაფერი უღიარდებათ და რაოდენობრივი შეზღუდვაც მოეხსნათ.

მნიშვნელოვანი ცვლილება შეეხო სპეცსკოლებს – სპეცსკოლების მასწავლებლები განსაკუთრებულად მძიმე დარღვევების მქონე მოსწავლეებთან მუშაობენ. მიუხედავად ამისა, მათი შეფასება ხდებოდა იმ სტანდარტიზებული შეფასების ინსტრუმენტებით, რომელიც სქემის მიხედვით იყო დამტკიცებული. ჩვენი ცენტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით სპეცსკოლებს მიეცათ საშუალება, ცვლილებები განახორციელონ საკუთარი შეხედულებების შესაბამისად (უბრალოდ, ცენტრთან უნდა შეათანხმონ). ახლა ისინი შეძლებენ მოდიფიცირებული ინსტრუმენტების გამოყენებას, რომელსაც თვითონვე გაუკეთებენ მოდიფიკაციას და ეს არ მოხდება ცენტრალიზებულად, არამედ, სკოლების დონეზე.

რაც მთავარია, არსებული კრიტერიუმების მოდიფიცირებას იმ საჭიროებებისა და არსებული ვითარების შესაბამისად მოახდენენ, რომელიც კონკრეტულ საკლასო ოთახში იქნება. შესაბამისად, ინსტრუმენტებს თავად სკოლა დაამტკიცებს და შემდეგ მისი მეშვეობით შეაფასებს მასწავლებელს. ვფიქრობ, ძალიან კარგი და საჭირო ცვლილებაა. რესურსსკოლების რაოდენობა ბევრი არ არის – სულ 8 რესურსსკოლაა, მაგრამ იქ მასწავლებლები საკმაოდ განსხვავებულ მდგომარეობაში მუშაობენ და მათი გარემო არ არის ჩვეულებრივი სასწავლო გარემო. ასეთ არათანაბარ პირობებში აღმოჩენილ პედაგოგებს, სამწუხაროდ, წინსვლის საშუალება არ ჰქონდათ.

დოკუმენტში მნიშვნელოვანი ცვლილებები ჩაიწერა კარიერულ წინსვლასთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, რეფორმის ფარგლებში, საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებლებს სახელმწიფომ, პენსიაში გასვლის სანაცვლოდ, ჯილდო შესთავაზა. ისინი, ამ შეთავაზების არჩევის შემთხვევაში, პროფესიიდან გადიან ან უარს ამბობენ ჯილდოზე, პროფესიაში რჩებიან და გამოცდას აბარებენ. თუ მასწავლებელი, წელს, პირველად გადის გამოცდაზე, შესაძლოა, მან სრულად ვერ დააგროვოს საკმარისი კრედიტქულები შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად. ამიტომ, ცვლილების თანახმად, პრაქტიკოს მასწავლებლებს კრედიტქულების დაგროვების ვადა 2020 წლის იანვრამდე გაუხანგრძლივდათ. შესაბამისად, საშემოდგომო სემესტრში ისინი შეძლებენ გააგრძელონ კრედიტქულების დაგროვება და შეავსონ სტატუსის ცვლილებისთვის საჭირო რაოდენობა. ამის გარდა, მათ შესაძლებლობა ეძლევათ, შემოდგომაზე გამოცხადებულ გამოცდაზე ისევ სცადონ ბედი გასაუმჯობესებლად ან ხელმეორედ ჩასაბარებლად, თუკი მაშინაც ვერ დააგროვებენ სტატუსის შესაცვლელად საჭირო კრედიტქულების რაოდენობას, ისევ გააგრძელონ აქტივობებით შევსება.

პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის კრედიტქულების დაგროვება და სტატუსის ამაღლება 2020 წლის იანვრამდე გაგრძელდება და, როგორც გითხარით, კრედიტქულებიც აღარ შეიზღუდება.

გარკვეული ცვლილება შეეხო უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლებსაც – იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც აპირებენ წამყვანის სტატუსის მიღებას და დაგროვებული ექნებათ 15 კრედიტქულა როგორც სავალდებულო, ისე დამატებითი აქტივობებით, სექტემბერში, დამატებით გამოცხადდება გარედაკვირვება, რითაც შესაძლებლობა მიეცემათ, სტატუსი 2020 წლისთვის შეიცვალონ.

სიახლეა „ახალი სკოლის მოდელში“ ჩართული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისთვის. იმის გამო, რომ მათ ინტენსიურად იმუშავეს, უღიარდებათ საგაკვეთილო დაკვირვებები და სამუშაო შეხვედრები. ყოველდღიურ რეჟიმში ხვდებოდნენ მხარდამჭერ ჯგუფებს, მუშაობდნენ ინდივიდუალური სასკოლო გეგმის განვითარებაზე. ამ გაწეული საქმიანობისთვის, მათ, დამატებით, 6 კრედიტქულა მიენიჭებათ.

ეს არის ის ძირითადი ცვლილებები, რომელიც სქემაში შევიდა. ჩვენი სურვილია, გარდამავალ ეტაპზე ყველა მასწავლებელს, რომელიც სქემაში იყო ჩართული და აქტიურად აგროვებდნენ კრედიტებს, წინსვლის საშუალება მივცეთ, რომ მათი განვითარების პროცესი შუაში არ შეწყდეს. 2020 წლისათვის კი, როცა შემუშავდება ახალი დოკუმენტი, ის დაარეგულირებს მასწავლებლის პროფესიაში საჭირო მოთხოვნებს.

– იქნება თუ არა რაიმე ცვლილება გამოცდებზე? როგორც ცნობილია, ბარიერი წელსაც იგივეა

– წელსაც დარჩა ნაწილობრივი დაგროვების შესაძლებლობა, რადგან არიან მასწავლებლები, რომლებსაც კრედიტქულების გარკვეული ნაწილი უკვე დაგროვებული აქვთ და მხოლოდ რამდენიმე აკლიათ სტატუსის ასამაღლებლად. მათ მივეცით შანსი, ეს მცირე დანაკლისი გამოცდით შეივსონ. ამიტომაც არ შევცვალეთ ამ გარდამავალ პერიოდში ეს პირობა, რადგან გვინდოდა სამართლიანობის პრინციპიც დაგვეცვა – თუკი ერთ მასწავლებელს ჰქონდა შესაძლებლობა, გამოცდით ნაწილობრივ დაეგროვებინა კრედიტქულები, ეს შესაძლებლობა გვინდოდა დანარჩენებისთვისაც მიგვეცა. ამდენად, ვეცადეთ ვყოფილიყავით თანმიმდევრულები და სამართლიანები.

რაც შეეხება ბარიერის გადალახვას 60 პროცენტზე ზევით, ანუ თუ მასწავლებელი ორივე გამოცდაში 10-10 კრედიტქულას მიიღებს, ის ავტომატურად მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს და სხვა დამატებითი აქტივობების განხორციელება არ დასჭირდება. ასევე, უცვლელია პირობა მოქმედი მასწავლებლებისთვის, რომლებიც საგნობრივ გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ და 60-კრედიტიან პროგრამას გაივლიან, ისინიც, ავტომატურად, უფროსი მასწავლებლები ხდებიან.

მთავარი პრინციპი უცვლელი რჩება – თუ მასწავლებელს დადასტურებული აქვს კომპეტენციები, ანუ გამოცდები ჩაბარებული, მას ხელმეორედ აღარ მოუწევს გამოცდის ჩაბარება.

– რამდენი მასწავლებელი დარეგისტრირდა გამოცდებზე?

– წელს, ზაფხულის გამოცდებზე დარეგისტრირდა 32 ათასი მასწავლებელი და მასწავლებლობის მსურველი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათგან 10 ათასამდე მასწავლებლობის მსურველია. ეს ნიშნავს, რომ პროფესია მიმზიდველი ხდება გარეშე ადამიანებისთვის, რაც ჩვენთვის ნამდვილად გასახარია. ხშირად ჩიოდნენ – რეგულაციები იმდენად მკაცრია, რომ გარეშე ადამიანებს აღარც კი უჩნდებათ პროფესიაში შემოსვლის სურვილი ან სკოლაში ვაკანსიები მაინც არ არის. მასწავლებლობის მსურველთა რაოდენობის გაზრდას ხელი შეუწყო დაანონსებულმა რეფორმამ – საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს შეთავაზებამ. სწორედ ამან გააჩინა ამდენი მსურველი. სიმართლე გითხრათ, საქართველოში არც კი გამიგია რომელიმე პროფესიაში ასეთი შეთავაზება პენსიონერებისთვის. რეალურად, ეს მართლა ჯილდოა იმ ღვაწლისთვის, რაც პროფესიაში გასწიეს. ახალგაზრდებისთვის კი ამ საკმაოდ მიმზიდველმა წინადადებამ, მოტივაცია გაზარდა, გახდნენ მასწავლებლები.

– თუ არის ცნობილი, რამდენი საპენსიო ასაკის მასწავლებელი დარეგისტრირდა გამოცდაზე და რამდენმა განაცხადა ჯილდოს აღების სურვილი?

– განაცხადების მიღება გრძელდება და ამიტომ საბოლოო შედეგებზე ვერაფერს გეტყვით. დარეგისტრირებულ მასწავლებელთა ასაკობრივ ჯგუფს თუ გადავხედავთ, 6 ათასამდე საპენსიო ასაკის მასწავლებელი დარეგისტრირდა გამოცდაზე. არც ეს მოგვცემს ჯერჯერობით ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას, რადგან მათგან ნაწილმა, შესაძლოა, უარი თქვას გამოცდაზე გასვლაზე და ჯილდო ამჯობინოს, ნაწილმა კი გადაწყვიტოს პროფესიაში დარჩენა და სცადოს ბედი კომპეტენციების დასადასტურებლად, ჩააბარონ გამოცდები და ისევ ემსახურონ პროფესიას.

რაც შეეხება ჯილდოს მსურველთა გაცხადებულ რაოდენობას, 5 ათასმა მასწავლებელმა უკვე შეიტანა სამინისტროში განაცხადი. საბოლოო ჯამში, რამდენი მასწავლებელი გადაწყვეტს ჯილდოს მიღებას უახლოეს მომავალში გაირკვევა, განაცხადების მიღება მაისის ბოლომდე გრძელდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საპენსიო ასაკის მასწავლებლებისთვის შეთავაზება მაისის ბოლოს დასრულდება – თუკი მასწავლებელი გამოცდას ვერ ჩააბარებს, მას კიდევ ეძლევა შანსი, ჯილდოს მიღების სურვილი გამოთქვას.

– გარდამავალი დოკუმენტის მიხედვით, არაქართულენოვანი მასწავლებლებისთვის საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება 2021 წლიდან მოხდება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი მანამდე ვერ შეძლებენ პროფესიულ განვითარებას და სტატუსის შეცვლას?

– უნდა ვაღიაროთ, რომ მასწავლებლები, რომლებიც არაქართულენოვან სკოლებში და სექტორებში ასწავლიან, თანაბარ პირობებში ვერ არიან სხვა მასწავლებლებთან. სწორედ ამიტომ, ახლა ვმუშაობთ დოკუმენტზე, რომელიც არაქართულენოვან მასწავლებლებს, 2021 წლამდე, მისცემს საშუალებას, სხვა გზებით გაიუმჯობესონ სტატუსი. ჩვენი სურვილია, სექტემბრიდან მათ ალტერნატიული გზები შევთავაზოთ. ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა, პროცესში ჩართულია სამინისტრო და მათთვის, გამოცდების საპირწონედ, შეიქმნება სხვა ტიპის პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისინი უსამართლოდ დაჩაგრულები არ აღმოჩნდნენ.

2010 წლიდან მოყოლებული არაქართულენოვან მასწავლებლებს სახელმწიფო სთავაზობს გამოცდაზე გასვლას პროფესიულ უნარებშიც და საგნობრივ გამოცდაზეც. მათთვის საგნის გამოცდის ტესტები ნათარგმნია, პროფესიული უნარების გამოცდა კი ქართულ ენაზე უნდა გაიგონ და შემდეგ დაწერონ მშობლიურ ენაზე. ეს გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, რადგან ამ ინსტრუქციის ყველასთვის გაგება მარტივი არ არის. ამიტომ, მათთვის შეთავაზებები სიტუაციის ადეკვატური უნდა იყოს. ამას გულისხმობს ჩვენი ალტერნატიული შეთავაზება. თუმცა, არავითარ შემთხვევაში უარს არ ვიტყვით კვალიფიკაციაზე და თამასას დაბლა არ დავწევთ, თუმცა, ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს, რომ პროფესიულად განვითარდნენ და სტატუსიც აიმაღლონ. ეს არ იქნება გამოცდა, არამედ იქნება გამოცდის ალტერნატივები, თუმცა, გამოცდაც ერთ-ერთ ჩვეულებრივ გზად დარჩება.

– მათი პროფესიული განვითარება ადგილზე მოხდება?

– ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, მაგრამ საკმაოდ საინტერესო წინადადებებს შევთავაზებთ. როგორც კი სამუშაო დოკუმენტს შევქმნით, ადგილზე ჩავალთ, განხილვებს მოვაწყობთ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან. დოკუმენტზე ვმუშაობთ და რაკი საკითხი სასწრაფოდაა გადასაწყვეტი, დიდია სამინისტროს ინტერესიც, ეს შეთავაზება ახლო

პროფესიული განვითარება

მომავალში მზად გვექნება.

– ჯილდოს გამოცხადების შემდეგ, გაჩნდა აზრი, რომ სკოლებში შესაძლოა მასწავლებლების დეფიციტი შეიქმნას და ეს ერთმნიშვნელოვნად აისახება არაქართულენოვან და მაღალმთიან სკოლებზე. რეალურად, ეს საფრთხე მართლაც არსებობს, თუნდაც იმ შემთხვევაში, არაქართულენოვან მასწავლებელთა 50-მა პროცენტმაც რომ გამოაცხადოს ჯილდოს მიღების სურვილი. გასათვალისწინებელია, რომ მათი უმრავლესობა პრაქტიკოსი მასწავლებელია და, ზოგადად, ჩვენი საპენსიო ასაკის მასწავლებლების პროცენტული მაჩვენებლები დიდია. რა გეგმა გაქვთ, როგორ შეავსებთ ამ დეფიციტს?

– მასწავლებლების პენსიაზე წასვლით გამოწვეული დეფიციტის შევსებას სისტემა რამდენიმე ალტერნატიული შესაძლებლობით გეგმავს. პირველი – მასწავლებელთა სრული საათობრივი დატვირთვით, რაც ამ მასწავლებლების კეთილდღეობაზეც აისახება, რადგან ისინი გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ. მეორე – პროგრამებით, რომლებიც მასწავლებლის დეფიციტის შევსებისკენაა მიმართული – „ასწავლე საქართველოსთვის“. ასევე, მაძიებლობის პროგრამა, რომელიც კანონით უკვე დამტკიცებულია. მაძიებლობის პროგრამა გულისხმობს სკოლაში ახალი კადრის შესვლას და, სწავლების პარალელურად, პროფესიაში განვითარებას – ისწავლის ონლაინ კურსებით, ზედამხედველობით, ადგილზე მასწავლებლის მხარდაჭერით, კონსულტირებით და, 2 წლის განმავლობაში, დაადასტურებს სტატუსს.

ამის გარდა, გვექნება პროფესიაში შესვლის სწრაფი გზა – მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამის შემჭიდროვებულ ვადებში ინტენსიურად გავლის შესაძლებლობა.

– რა კვალიფიკაცია მოეთხოვება მაძიებელს?

– პირველ რიგში, ბაკალავრის კვალიფიკაცია. თუკი მაძიებელს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს, როგორც გითხარით, ის შემოდის და, 2 წლის განმავლობაში ან უფრო სწრაფად, ადასტურებს სტატუსს – გადის მაძიებლობის პროგრამას. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი მაძიებელს შესაბამისი კვალიფიკაცია არ აქვს, მისი მაძიებლად დარეგისტრირების წინაპირობა საგნის გამოცდის ჩაბარებაა.

ჩვენ გარანტირებული უნდა ვიყოთ, რომ ვინც მოსწავლესთან შედის, მან, სულ მცირე, ის საგანი უნდა იცოდეს, რომელსაც ასწავლის. პროფესიული პედაგოგიური უნარების განვითარებაში კი ადგილზე დავეხმარებით. მთავარია, განათლების ხარისხი ამაღლდეს, სკოლამ და მასწავლებელმა უზრუნველყონ, რომ თითოეული მოსწავლე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კომპეტენციების მატარებელი იყოს.

საერთო ჯამში, თუკი გაჩნდება მასწავლებელთა დეფიციტი, სისტემა მზადაა, ის შეავსოს არა ნებისმიერით, არამედ კომპეტენტური ადამიანებით, რომლებიც სკოლებში სწავლა-სწავლების ხარისხს აამაღლებენ – მთავარი ამოსავალი პრინციპიც ხომ ეს არის.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

პროფესიული განათლება

პროფესიული მასწავლებელი და კომპანიის ინსტრუქტორი – ორი უმთავრესი ფიგურა პროფესიულ განათლებაში

პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმა ყველა ეტაპზე სიახლეს გვთავაზობს. დღეს ერთ-ერთი მათგანის შესახებ გვესაუბრება ნინო ელბაქიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და დირექტორების განვითარების სახელმწიფო პროგრამის მენეჯერი.

– ძალიან ბევრი გვესმის პროფესიული განათლების შესახებ ამ ბოლო დროს. როგორ ფიქრობთ, რატომ დაისახა სახელმწიფომ ეს მიმართულება პრიორიტეტად და რა არის მისი მთავარი ხიბლი?

– განათლება რომ ქვეყნის ნომერ პირველი პრიორიტეტია, ამის შესახებ მთავრობამ უკვე განაცხადა და, ბუნებრივია, ეს შემთხვევითი არ არის. ილია ჭავჭავაძის სიტყვა, რომელიც მან წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის გახსნაზე წარმოთქვა, საკმარისი იქნება იმის დასადასტურებლად, თუ რატომ არის ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქვეყნისათვის ცოდნა, იგივე განათლება: *„ცოდნა ისეთი რამეა, რასაც ყველგან თან წაიღებ, ვერც ვერავინ მოგპარავს ან წაგართმევს. დღევანდელ დროში ცოდნა ყველაფერია. ფულზე უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ხმალზე მეტად ჭრის და ზარბაზანივით უფრო ძლიერია“.* ქვეყნის სიძლიერისათვის და დაცულობისათვის მთავარი იარაღი არის განათლება. ამაზე უფრო საიმედო დაცვისა და კეთილდღეობის იარაღი კაცობრიობას ჯერ არ გამოუგონებია.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას – ეს განათლების განსაკუთრებული ფორმაა და საშუალება, რომელიც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, გამოიყენოს და გამოავლინოს საკუთარი ინტერესები და შესაძლებლობები და გახდეს კონკურენტუნარიანი შრომის ბაზარზე. ფაქტობრივად, პროფესიული განათლება სახელმწიფოს ორმხრივი ინტერესია: ერთი მხრივ, ახალგაზრდა პოულობს მისთვის შესაფერ სამუშაო ადგილს, რაც განაპირობებს უმუშევრობის შემცირებას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას; მეორე მხრივ, სამუშაო ბაზარი აღჭურვილია კვალიფიციური კადრებით, რაც დიდი ფუფუნებაა ნებისმიერი დაწესებულებისთვის თუ საწარმოსთვის. როდესაც სახელმწიფო პროფესიულ განათლებას პრიორიტეტად აცხადებს, სრულად აქვს გაცნობიერებული, რა არის ქვეყნის კეთილდღეობის მთავარი გასაღები.

– რა არის პროფესიული განათლების მთავარი თავისებურება და როგორია მისი შიდა სტრუქტურა?

– პროფესიული განათლება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთანაა პირდაპირ კავშირში, როგორც აღვნიშნე და მისი შიდა სტრუქტურა განსხვავდება განათლების სხვა საფეხურებისგან, მაგალითად, ზოგადი ან უმაღლესი განათლებისგან. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესიული განათლების პოლიტიკის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია მისი თავისებურებები, საერთაშორისო წარმატებული მაგალითები, დაბოლოს, ქვეყნის ისტორიულ-კულტურული თავისებურებები. საკუთრივ ქართული პროფესიული განათლების პოლიტიკის არსებობა გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც უნიკალურია და საერთაშორისო ტენდენციებს არ ჩამოუვარდება. პროფესიული განათლების მთავარი თავისებურება ის გახლავთ, რომ კერძო სექტორის გარეშე უბრალოდ არ არსებობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი ნაწილი საწარმოში, რეალურ სამუშაო გარემოში ხდება. ეს იგივეა, რასაც ჩვენ ადრე პრაქტიკას ვუწოდებდით. დღევანდელ სისტემაში ეს პრაქტიკა უფრო სტრუქტურირებულია და უფრო მეტად ორიენტირებული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ვიდრე ეს ადრე იყო შესაძლებელი.

დღეს კერძო სექტორი სხვადასხვა მიმართულებით არის ჩართული პროფესიულ განათლებაში, კერძოდ: მონაწილეობს პროფესიული სტანდარტების შემუშავებაში; საწარმოებში მიმდინარეობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარება; დუალური პროფესიული განათლების შემთხვევაში, სწავლების, მინიმუმ, 50% რეალურ სამუშაო გარემოში მიმდინარეობს. რომ შევაჯამოთ – კერძო სექტორი პროფესიული განათლების განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდა. სწორედ შრომის ბაზარი, კერძო სექტორი, უკვეთავს სახელმწიფოს, რომელი პროფესიის და როგორი კომპეტენციებით აღჭურვილი კადრი ესაჭიროება, სახელმწიფოც ამ დაკვეთის საფუძველზე ამზადებს შესაბამის კადრებს. კერძო სექტორი ჩართულია არა მხოლოდ დაკვეთის პროცესში, არამედ ის ინაწილებს პასუხისმგებლობას მომავალი კადრების მომზადებაზე, როდესაც პროფესიული სტუდენტებისთვის საწარმოს კარს აღებს. პროფესიულ განათლებას თავად განათლება გააქვს ფარგლებს გარეთ და თავს უყრის სახელმწიფოსა და ეკონომიკის მოთხოვნებსა და თანამშრომლობას.

– რა როლი აქვს პროფესიულ მასწავლებელს ამ პროცესების მართვაში?

– ერთი სიტყვით რომ ვთქვათ – გადამწყვეტი. საერთოდ, განათლების ნებისმიერ საფეხურზე, მასწავლებელს მნიშვნელოვანი როლი აქვს ხარისხიანი განათლების მიღებისას. მაგალითად, დაწყებით საფეხურზე, მასწავლებელზეა დამოკიდებული, როგორი განწყობა და დამოკიდებულებები გაუჩნდება მოსწავლეს, ზოგადად, სწავლის მიმართ. შემდგომ საფეხურებზე მასწავლებელზეა დამოკიდებული, უყვარს თუ არა მოსწავლეს რომელიმე საგანი. მასწავლებელს შეუძლია, საგანი საინტერესო და საყვარელი გახადოს მოსწავლისათვის და პირიქით. ამიტომაც არის ამხელა ყურადღება გამახვილებული მასწავლებლის კომპეტენციაზე და მის ეთიკურ ღირებულებებზე.

პროფესიულ განათლებაში, განსაკუთრებით დღესდღეობით, როდესაც კომპლექსური განათლების რეფორმა ასეთ აქტიურ ფაზაშია შესული, მასწავლებლის როლი განსაკუთრებით მიშვნელოვანია და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გადამწყვეტი. დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც მასწავლებლის წინაშე დგას, ასევე დგას სახელმწიფოს წინაშე, რათა მოხდეს მასწავლებლის მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა სისტემურად და სისტემატურად. სხვადასხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები მხარს უჭერენ პროფესიულ განათლებას, ასევე, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. მუდმივად მზარდ და ცვალებად შრომის ბაზარზე მუდმივად ჩნდება ტექნიკური სიახლეები და ახალი ტენდენციები, რასაც მასწავლებელმა ფეხი უნდა აუწყოს. ამის პარალელურად, სისტემაში მიმდინარე სიახლეების შესაბამისად, მასწავლებელს ასევე უწევს ამ სიახლეების გაცნობა, გაცნობიერება და პრაქტიკაში დანერგვა. პროფესიული განათლების მასწავლებლობა დღეს ერთ-ერთი ყველაზე დინამიური პროფესიაა, რაც განათლებაში საერთოდ არსებობს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება დიდი გამოწვევაა სახელმწიფოსთვის, თუმცა ეს არ არის სრული სურათი და არ ფარავს პროფესიული განათლების სრულ საჭიროებას, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროფესიული განათლება მიმდინარეობს ასევე საწარმოში, რაც პროფესიულ განათლებაში მასწავლებლის ახალ ტიპს – საწარმოს ინსტრუქტორს აჩენს.

– ვინ არის კომპანიის ინსტრუქტორი და რა მოვალეობები აკისრია მას?

– კომპანიის ტრენერი პროფესიული განათლების მასწავლებლის განსხვავებული კატეგორიაა, რომელსაც აქვს, ერთი მხრივ, პროფესიის/საგნის ფუნდამენტური ცოდნა, მეორე მხრივ კი, პედაგოგიური უნარები, რათა სტუდენტს პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმაროს. კომპანიის ტრენერს ხანდახან კომპანიის ინსტრუქტორსაც უწოდებენ. ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ ის მასწავლებელია, რადგან კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი სამუშაო ადგილი თავად კომპანიაა, თუმცა, მეორე მხრივ, ის მუშაობს სტუდენტთან და ეხმარება მას პრაქტიკული უნარების განვითარებაში ისევე, როგორც ამას აკეთებს მასწავლებელი პროფესიულ სასწავლებელში, თეორიული სწავლების დროს. გერმანიის პროფესიული განათლების სისტემაში კომპანიის ინსტრუქტორი პრესტიჟული პროფესიაა. ის მაღალანაზღაურებადია, ამ პროფესიის ადამიანები ხელს უწყობენ როგორც ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღებას, ისე თავად ორგანიზაციის ან კომპანიის განვითარებასაც. კომპანიის ტრენერის ინსტიტუტი გერმანიაში დაიბადა და საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში, ინსტიტუტმა მრავალი სასიკეთო ცვლილება განიცადა და, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პროფესიული განათლების განვითარებაში.

რაც შეეხება მის მოვალეობებს: გერმანიაში არსებობს ოფიციალური ნორმატიული აქტი და კანონქვემდებარე დოკუმენტი, სადაც განერილია კომპანიის ინსტრუქტორის უფლება-მოვალეობები. იქ პროფესიული განათლება კანონით განსხვავებულად არის რეგულირებული, ვიდრე საქართველოში. ჩვენთან, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ არის გაწერილი კომპანიის ინსტრუქტორის პასუხისმგებლობები, ამაზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს. თუმცა კომპანიის ინსტრუქტორები მუშაობენ პროფესიულ სტუდენტებთან როგორც პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, ასევე დუალური და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში. კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი მოვალეობებია: სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის სამუშაო გარემოს მოწყობა, სწავლების ფორმების ცოდნა და გამოყენება ამ პროცესში; სტუდენტისთვის ინსტრუქციების მიცემა და სამუშაო პროცესში ეტაპობრივად ჩართვა, მისი შეფასება და სხვა. ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რომელიც კომპანიის ინსტრუქტორს აქვს, გახლავთ მისი, როგორც პროფესიონალის როლი და პროფესიული შრომითი ორიენტაციის მიცემა სტუდენტისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუქტორმა მიიღოს პროფესიული სტუდენტი, როგორც „მომავალი თაობა“ და არა როგორც მომავალი კონკურენტი. სწორი და კეთილგანწყობილი კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტსა და კომპანიის ინსტრუქტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მთავარი გასაღებია.

– რამდენად საჭიროა ამ პროცესში პროფესიული მასწავლებლისა და კომპანიის ინსტრუქტორის თანამშრომლობა?

– საჭირო არა, მე ვიტყოდი, რომ ეს აუცილებელია. მასწავლებელსა და ინსტრუქტორს შორის თანამშრომლობას ერთი საერთო მიზანი აქვს: ეს არის პროფესიული სტუდენტის წარმატება. თეორიული ცოდნა, რომელსაც სტუდენტი იღებს სასწავლებელში, არასაკმარისია, თუ ის პრაქტიკული უნარებით არ იქნა გამყარებული და ასევე, მხოლოდ პრაქტიკული სწავლება, თეორიის გარეშე, ვერ ქმნის სრულ კომპეტენციას. პროფესიული მასწავლებელი და კომპანიის ინსტრუქტორი პროფესიული განათლების ორი მთავარი აქტორია, რომელთა თანამშრომლობას ალტერნატივა არ აქვს. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სასწავლებლის ადმინისტრაციისა და კომპანიის მენეჯმენტის კეთილი ნება და ხელშეწყობა. ამჟამად, გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობით, მიმდინარეობს პროფესიული მასწავლებლისა და კომპანიის ინსტრუქტორის თანამშრომლობის ტრენინგი. ამ თანამშრომლობაში ორივე მხარეს დახმარება სჭირდება, მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს და ასევე შეთანხმდეს, სწავლის შედეგების რა ნაწილი ისწავლება სასწავლებელში და რომელი პრაქტიკული უნარების განვითარება მოხდება საწარმოში. როდესაც მასწავლებელი და ინსტრუქტორი თანამშრომლობენ, სიმბოლურად, ეს შეიძლება დავინახოთ, როგორც სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა საერთო ინტერესებისათვის. ეს ინტერესი გახლავთ სწორედ პროფესიული სტუდენტი და მისი წარმატება.

ესაუბრა ანა ფირცხალაიშვილი

ÜÇBUCAQ VƏ ONUN ELEMENTLƏRI

Şahvələd Nəbiyev

Riyaziyyatdan standart dərsin planı

Məktəb	IHHŞ Dmanisi rayonu Dunus İctimai məktəbi
Sinif	VII
Müəllim	Şahvələd Nəbiyev
Fənn	Riyaziyyat
Mövzu	Üçbucaq və onun elementləri.
Şagirdin sayı	8
XTEŞ	0
Tarix	
Dərsin məqsədi	Şagirdlər üçbucağı adlandırmağı, onun elementlərini sadalamanı, bucaqlarına və tərəflərinə görə üçbucaqları fərqləndirməni bacarsın.
Əldə ediləsi nəticələr	**Riy.VII.9. Həndəsi fiquru təyin edir, onların növlərini müqayisə edir və onları təsnif edir.** • Fiqurların növləri arasında münasibətləri formalaşdırır • Fiquru, onun əlamət-xassələrinə əsasən adlandırır, fiquru tapmaq üçün onların kifayət/kifayət olmayan qədərliyi haqqında müzakirə aparır. **Riy.VII.10. Tapşırığın kontekstinə uyğun olaraq həndəsi obyekti təqdim edir.** • Verilən məsələyə uyğun olaraq çertyoj qurur və hərfi qeydlərdən adekvat şəkildə istifadə edir.
Sinifin təşkili forması	Fərdi iş, cütlüklərdə iş,ümumi siniflə iş və siniflə diskusiya.
Dərs materialı və resuslar	Dərslik VII sinif. Müəllif: Q.Qoqişvili, A.Vepxvadze. Dəftər, qələm, xətkeş, kompüter, proyektor, rəngli kagızlar. Sinif işi zamanı " işıqfordan" istifadə edirəm.
Şagirdin öncəki bilyi	Şagirdlər fərqli həndəsi fiqurları tanıyır və onları fərqləndirə bilir.
Fəallıqlar	**A-faza** **Fəallıq 1. Beyin həmləsi (Ümumi siniflə diskusiya) (5 dəq).** **Məqsəd: Öncəki biliyin aktivləşdirilməsi.** **Fəallığın təsviri:** Müəllim şagirdlərə tanıdıqları həndəsi fiqurları yadlarına salmalarını xahiş edir. Sonra isə İKT dən istifadə etməklə onlara proyektor vasitəsilə müxtəlif həndəsi fiqurlar göstərilir və şagirdlər bu fiqurları adlandırırlar. **Bu fəallıqdan sonra şagirlər** **Riy.VII.9. Həndəsi fiquru təyin edir, onların növlərini müqayisə edir və onları təsnif edir.** • Fiqurların növləri arasında münasibətləri formalaşdırır **standartına çatırlar.** Onlar həndəsi fiqurları tanıyır, fiqurları növlərinə görə fərqləndirir, və müqayisə edirlər. **B-faza** **Fəallıq 2. Müstəqil iş (10 dəq)** **Məqsəd:** Müstəqil işləmə bacarığının inkişaf etdirilməsi. **Fəallığın təsviri:** Müəllim şagirdlərə hazır resurs olan kvadratlar paylayır. Sonra isə onlara verilmiş kvadratları üçbucaqlara ayırmanı tapşırır. Bundan sonra isə alınmış bərabəryanlı, bərabərtərəfli və düzbucaqlı üçbucaqları yazmalarını tapşırır. Şagirdlər üçbucaqları növlərinə görə fərqləndirirlər və yazırlar. Yekunlaşdırmaq məqsədilə sonda müəllim lövhədə kvadratdan alınmış üçbucaqların bütün kombinasiyalarını şagirdlərə göstərir. Şagirdlər isə öz işlərini müqayisə edirlər. **Bu fəallıqdan sonra şagirdlər** **Riy.VII.9. Həndəsi fiquru təyin edir, onların növlərini müqayisə edir və onları təsnif edir.** • Fiqurların növləri arasında münasibətləri formalaşdırır. • Fiquru, onun əlamət-xassələrinə əsasən adlandırır , fiquru tapmaq üçün onların kifayət/kifayət olmayan qədərliyi haqqında müzakirə aparır. **standartı səviyyəsinə çatırlar**. **Fəallıq 3. Qrup işi (15 dəq).** **Məqsəd:** Şagirdlərə qarşılıqlı əməkdaşlıq, başqasının fikirinə hörmət etmək, sosial bacarıqlar və dərsə qoşulma kimi bacarıqları inkişaf etdirmək. **Fəallığın təsviri:** Qruplar yaradılır. Qruplara hazır resurs-üçbucaqlar paylanır. Qruplara üçbucağın bucaqlarının, tərəfləinin və perimetrnin hesablanması tapşırılır. Qruplar işlərini yekunlaşdırdıqdan sonra təqdimat edirlər. **Bu fəallıqdan sonra şagirdlər** **Riy.VII.9. Həndəsi fiquru təyin edir, onların növlərini müqayisə edir və onları təsnif edir.** • Fiqurların növləri arasında münasibətləri formalaşdırır • Fiquru, onun əlamət-xassələrinə əsasən adlandırır, fiquru tapmaq üçün onların kifayət/kifayət olmayan qədərliyi haqqında müzakirə aparır. **Riy.VII.10. Tapşırığın kontekstinə uyğun olaraq həndəsi obyekti təqdim edir.** • Verilən məsələyə uyğun olaraq çertyoj qurur və hərfi qeydlərdən adekvat şəkildə istifadə edir. **standartı səviiəsinə çıxırlar.** **C-faza** **Fəallıq 4.** „Bilirəm-bilmək istəyirəm-öyrəndim" (5 dəq). **Məqsəd:** Şagirdlərdə özünüqiymətləndirmə bacarığını inkşaf etdirmək. *Əvvəlcədən diaqram hazırlayırıq və şagirdlər dərs prosesinin müəyyən mərhələlərində bu diaqramı doldururlar.* **Fəallıq 5.** Yekunlaşdırma və qiymətləndirmə (8 dəq.) **Məqsəd: Şagirdlərə effektiv əks-əlaqənin verilməsi.** İnkişafetdirici və müəyyənləşdirici qiymətləndirmədən istifadə edirəm **Ev tapşırığı: (2 dəq)** **Məqsəd:** Keçilən materialın möhkəmləndirilməsi. Dərslikdən ev tapşırığı səh.298.
Qiymətləndirmə	Sinif işini, təqdimatları və cütlükdə/qruplarda işi qiymətləndrmək üçün uyğun rubrikalara əsaslanaraq İnkişafetdirici və müəyyənləşdirici qiymətləndirmədən və özünüqiymətləndirmədən istifadə edirəm.

Dərsdə qiyətləndirməni aparmaq üçün istifadə edilən rubrikalar

Şagirdin sinif qiymətləndirməsi (Analitik rubrika)

Kriteriumlar	1-2-3-4	5-6	7-8	9-10
Üçbucağın növləri haqda biliklər	Şagird üçbucağın növləri haqqında heç bir biliyə sahib deyil	Şagird üçbucağın növləri haqqında səthi biliyə malikdir	Şagird üçbucağın növləri haqqında əksər məlumatları mənimsəyib	Şagird üçbucağın növləri haqqında kifayət qədər biliyə malikdir
Üçbucaqların bucaqları və tərəfləri	Şagird üçbucaqların bucaqları və tərəfləri haqda heç bir biliyə sahib deyil	Şagird üçbucaqların bucaqları və tərəfləri haqda səthi biliyə sahibdir	Şagird üçbucaqların bucaqları və tərəfləri haqda əksər biliyə sahib-dir	Şagird üçbucaqların bucaqları və tərəfləri haqda kifayət qədər biliyə malikdir
Riyazi anlayışlar və terminlər	Şagird riyazi anlayışları və terminləri bilmir	Şagird riyazi anlayışlar və terminlər haqda səthi biliyə sahibdir	Şagirdin əksər riyazi anlayışlar və terminlər haqda bilgisi var	Şagirdin riyazi anlayışlar və terminlərlə bağlı yetərincə biliyi var

Cütlükdə və qruplarda işlərin qiymətləndirmə rubrikası

Kriteriumlar	0-5	6-7	8-9	10
Əməkdaşlıq	Cütlüklərdə/qruplar da iş zamanı həmyaşıdları ilə çox nadir hallarda əməkdaşlıq edir və ya əməkdaşlıq etmir	Həmyaşıdları ilə cütlüklərdə/qruplar da iş zamanı zəif əməkdaşlıq edir.	Həmyaşıdları ilə cütlüklərdə/qruplar da iş zamanı tez-tez əməkdaşlıq edir.	Həmyaşıdları ilə cütlüklərdə/qruplar da iş zamanı hər zaman əməkdaşlıq edir.
Cəlbolunma	Fəallıqlarda iştirak etmir və ya çox nadir hallarda iştirak edir.	Fəallıqlarda az iştirak edir və yalnız bəzi fəallıqlara öz töhfəsini verir.	Fəallıqların əksəriyyətində aktiv iştirak edir və öz töhfəsini verir.	Bütün fəallıqlarda aktiv iştirak edir və öz töhfəsini verir.

Təqdimatın qiymətlindirilməsi rubrikası

Kriteriumlar	1-3	4-6	7-8	9-10
Mövzunun aydın şəkildə təqdim edilməsi	Aydın danışmır, fikirlərini izah edə bilmir.	Bir hissəsi aydındır digərlərinin isə əlavə izaha ehtiyacı var.	Aydındır amma səhvlər var dəqiqləşdirməyə ehtiyac var.	Təqdim edilən mövzu aydındır.
Məntiqlik	Məntiq pozulub hissələr arasında əlaqə yoxdur.	Bəzi hallarda məntiq çatışmır və ardıcıllıq gözlənilmir.	Əksər hallarda məntiq var və ardıcıllıq gözlənilir amma hissələr aydın şəkildə görsənmir.	Məntiqlidir və yaxşı tərtib edilmişdir.
Yekun qərar	Yekun qərar yoxdur.	Yekun qərar var amma məntiqsizdir.	Yekun qərar məntiqsizdir amma bu bütün məsələlərə aid deyil.	Yekun qərar məntiqli və əsaslıdır.
Auditoriya ilə əlaqə	Auditoriya ilə əlaqə qura bilmir.	Auditoriya ilə əlaqə qurmağa cəhd edir amma hansı yolla buna nail olacağını bilmir.	Auditoriyanı duyur və əksər hallarda əlaqə qurur.	Auditoriya ilə əlaqə qura bilir,kommunikasiya nın verbal və qeyri verbal formalarından uğurla istifadə edir.
Auditoriyanın suallarına cavab vermə	Cavab verməkdə çətinlik çəkir.	Cavabları tam ətraflı/yetərli deyil.	Sualların əksəriyyətini cavablandırır.	Bütün suallara düzgün cavab verir.

რეფლექსია

გაკვეთილი ჩავატარე მეშვიდე კლასში (**საგანი**: მათემატიკა; **თემა**: სამკუთხედი და სამკუთხედის ელემენტები). გაკვეთილი ითვალისწინებდა ნასწავლი მასალის შეჯამება-სრულყოფას.

გაკვეთილი წარიმართა წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად. მისი მთავარი **მიზანი** იყო:

- მოსწავლეებს დავხმარებოდი, განესაზღვრათ სამკუთხედი, დაესახელებინათ სამკუთხედის ძირითადი ელემენტები, მოეხდინათ სამკუთხედის კლასიფიკაცია;
- კუთხეებისა და გვერდების მიხედვით, შეესწავლათ სამკუთხედის ტოლობები და შეეძინათ პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- კომუნიკაციის, მეტაკოგნიტური, აზრის გამოთქმის, ურთიერთთანამშრომლობის, თვითშეფასების უნარ-ჩვევათა ფორმირება.

გაკვეთილი დავიწყე შესავალი საუბრით, გავაგრძელე კითხვა-პასუხის რეჟიმში. აქტივობებისთვის დრო ზუსტად იყო განაწილებული. როგორც მე, ისევე მოსწავლეები, ქვიშის საათის დახმარებით, ვიცავდით დროის ლიმიტს. კლასი მუშაობდა როგორც ჯგუფებში, ასევე ინდივიდუალურად, ჰქონდათ საუკეთესო ნამუშევრები. მუშაობისას, ყველა მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული და მონაწილეობდა ჯგუფის გამარჯვებაში. თითოეულმა მათგანმა კარგად იცოდა თავისი ჯგუფის ყველა წევრის ძლიერი და სუსტი მხარეები. ისინი კარგად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან.

მომზადებული მქონდა შეფასების რუბრიკები, მოსწავლეები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება-კომენტარით შევაფასე. ინდივიდუალურად დავურიგე გაკვეთილის შეფასების კითხვარი და, ბავშვების პასუხებით, გავიგე რა უფრო მოეწონათ ჩემს მოსწავლეებს გაკვეთილზე.

გაკვეთილის მსვლელობისას არ მქონია გეგმის კორექტირების საჭიროება.

სამომავლოდ გავითვალისწინებ, რომ ჯგუფების შექმნის დროს, აუცილებლად, უნდა გავითვალისწინო ბავშვების ინტერესი, საჭიროებები და შესაძლებლობა.

გაკვეთილზე გამოყენებული ყველა აქტივობა იყო ეფექტური და დამეხმარა დასახული მიზნის მიღწევაში. ვეცდები, მოვიძიო ან შევქმნა ახალი რესურსი და გამოვიყენო გაკვეთილზე. ჩემი ძლიერი მხარე ის არის, რომ ყველა რესურსი შედგენილი მქონდა კლასის შესაბამისად, რაც დამეხმარა სასურველი შედეგის მიღწევაში.

ᲨᲐᲰᲕᲐᲚᲐᲗ ᲜᲐᲒᲘᲔᲕᲘ

სსიპ დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ტნუსის საჯარო სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენერი

ხარისხის განვითარება

ახალი პროგრამა სწრაფად დასაქმების მსურველთათვის

თეა შაყულაშვილი
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ხარისხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამის კოორდინატორი

2013 წელს, პრემიერ-მინისტრის ბრძანებით, საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის გრძელვადიანი (2013-2020) სტრატეგია დამტკიცდა, რომლის უმთავრეს მიზანსაც შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, კვალიფიციური ადამიანური რესურსის მომზადება წარმოადგენს. ამ პერიოდში, რეფორმის ფარგლებში, მრავალი ძირეული ცვლილება განხორციელდა, პრიორიტეტული გახდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, რამაც პროფესიულ სტუდენტს საშუალება მისცა, აუდიტორიიდან გასულიყო იმიტირებულ თუ რეალურ სამუშაო გარემოში და ამ გზით, თეორიულ ცოდნასთან ერთად, დასაქმებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ცოდნა და უნარები მიეღო. სახელმწიფოს დახმარებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, ტექნიკით და სასწავლო მასალით; პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების, მოდულებისა და პროგრამების შედგენაში ჩაერთო დამსაქმებელი, რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს, რომ მან თავად მიიღოს სანდო, პროფესიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით აღჭურვილი კომპეტენტური კადრი, მეორე მხრივ კი, დასაქმებულმა მიიღოს მდგრადი და ღირსეულად ანაზღაურებადი სამუშაო. ამ და სხვა მრავალმა ცვლილებამ უკვე გამოიღო შედეგი, პროფესიული განათლება ნელა, მაგრამ მაინც ხდება პრესტიჟული.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შექმნის, განხორციელებისა და მსმენელთათვის გაცემული სერტიფიკატების სახელმწიფოს მიერ აღიარება სწორედ პროფესიული განათლების ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება. დღეს ბაზარზე გარკვეული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შესაძენად, უამრავი იურიდიული პირი გვთავაზობს სხვადასხვა სახის მოკლევადიან ტრენინგებს. მათგან, ბევრი მართლაც პროფესიონალურად და პასუხისმგებლობით ეკიდება საქმეს, თუმცა სერტიფიკატები, რომლებსაც ისინი გასცემენ, ხშირ შემთხვევაში, არ არის სანდო დამსაქმებლისთვის. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის დადგენილებით კი, ყველა იურიდიულ პირს, როგორც საგანმანათლებლო, ასევე არასაგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება მიეცათ პროფესიის სტანდარტის, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოდულის/მოდულების, საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებით ან სხვა საერთაშორისო აქტებით რეგულირებული სფეროების მარეგულირებელ მოთხოვნათა დაცვით, დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის, ეკონომიკური საქმიანობის სახეების შესახებ – საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის საფუძველზე ან სულაც საკუთარი ინტერესებისა და საქმიანობის სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, თავად შეიმუშაონ და წარმოადგინონ პროგრამა, მიიღონ მისი განხორციელების უფლება და გასცენ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი.

უკვე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისგან განსხვავებით, პროფესიული მომზადების პროგრამები მოკლევადიანია და სწრაფად დასაქმების მსურველისთვის საჭირო და აუცილებელ კონკრეტულ შედეგებზეა ორიენტირებული. რაც შეეხება გადამზადების პროგრამებს, ეს იმ კატეგორიის მსურველებზეა გათვლილი, რომლებიც უკვე იყვნენ ან მიმდინარედაც არიან დასაქმებულები, თუმცა კვალიფიკაციის ასამაღლებლად პროფესიაში არსებული სიახლეების გაცნობა და ახალი პრაქტიკული უნარების გამომუშავება ესაჭიროებათ. ვფიქრობთ, ეს პროგრამები საინტერესო იქნება სკოლის მოსწავლეებისთვისაც, რომლებსაც საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ შეეძლებათ იყვნენ ცალკეული პროგრამის მსმენელები და, სწავლისგან მოუწყვეტად, დაეუფლონ კონკრეტულ პრაქტიკულ პროფესიას.

პროფესიულ, უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებმაც ავტორიზაციის გზით უკვე მოიპოვეს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება, ამ პროგრამების ფარგლებში, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განსახორციელებლად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მხოლოდ დადასტურება სჭირდებათ. იურიდიული პირები კი, რომლებიც მომავალში აპირებენ ბაზარზე შემოსვლას და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელებას, ვალდებულნი არიან რამდენიმე სტანდარტი დააკმაყოფილონ. პირველ რიგში, მათი პროგრამები უნდა იყოს მოთხოვნადი შრომის ბაზარზე, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მატერიალური რესურსი და ჰყავდეს კვალიფიციური პრაქტიკოსი პერსონალი, რომელიც რეალურად შეძლებს პროგრამის მიზნების განხორციელებას, შემჭიდროვებულ ვადაში მისცემს მსმენელს საჭირო ცოდნას და დაეხმარება პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. ამ მიზნით განხორციელების მსურველებს მოუწევთ მჭიდროდ ითანამშრომლონ სხვადასხვა საწარმოებთან, დამსაქმებლებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან.

განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი მათ სწორედ ამ კრიტერიუმების მიხედვით შეამოწმებს. შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭო, დაწესებულებას ან მისცემს მათი განხორციელების უფლებას სამი წლის ვადით, ან უარს ეტყვის სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო, ან მისცემს ხარვეზის გამოსწორების ვადას. განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ, იურიდიულ პირს უფლება აქვს, მიმართოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აპრილის №498 ბრძანებით, განისაზღვრა პრიორიტეტები, რომლის ფარგლებში შედგენილი მომზადების/გადამზადების პროგრამა შესაძლოა დაფინანსდეს სახელმწიფოს მიერ. კერძოდ, ეს პრიორიტეტებია: ა) ხელოვნება; ბ) ბიზნესი და ადმინისტრირება; გ) ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები; დ) ინჟინერია და საინჟინრო საქმე; ე) წარმოება და გადამუშავება; ვ) არქიტექტურა და მშენებლობა; ზ) სოფლის მეურნეობა; თ) მეტყევეობა; ი) მეთევზეობა; კ) ვეტერინარია; ლ) ინტერდისციპლინური; მ) ჯანდაცვა; ნ) პერსონალური მომსახურებები; ო) ტრანსპორტის მომსახურებები.

პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შეუფერხებლად და უხარვეზოდ განხორციელების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი მჭიდროდ თანამშრომლობს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან. ამჟამად შემუშავებულია და მალე ამოქმედდება ელექტრონული პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს, ელექტრონულად დარეგისტრირდეს, შეიყვანოს ყველა საჭირო ინფორმაცია და მოითხოვოს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება.

ამ დროისთვის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, 6 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას 25 პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე დაუდასტურა თანხმობა. დღეის მონაცემებით, 400 ვაკანტურ ადგილზე უკვე დარეგისტრირდა 419 მსურველი და რეგისტრაცია გრძელდება. აღნიშნულთან ერთად, ცენტრში მომართვიანობისა და კონსულტაციების მსურველთა რაოდენობა ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს და გვაფიქრებინებს, რომ პროფესიული მომზადება და გადამზადება ღირსეულად დაიმკვიდრებს ადგილს პროფესიული განათლების სისტემაში და დაეხმარება დამსაქმებლებსა და დასაქმების მაძიებლებს ერთმანეთის პოვნაში.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგთათვის

პიროვნების განვითარებაში თვითშეფასების უნარის მნიშვნელობა დაწყებით საფეხურზე

დაწყებით საფეხურზე პიროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის მოსწავლის თვითშეფასების დონის ამაღლება.

თვითშეფასება საკუთარი თავის, საზოგადოებაში მდგომარეობის, მის წევრებთან ურთიერთობის და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებას გულისხმობს. დაწყებით საფეხურზე, მოსწავლეთათვის, გარშემომყოფთა შეფასება თვითშეფასების განმსაზღვრელია, ამიტომ კლასის აზრს ბავშვის პიროვნების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. თვითშეფასება უფრო რთული ფენომენია, ვიდრე სხვების შეფასება, იგი შეფასებაზე უფრო გვიან ვითარდება. თვითშეფასება დაწყებით საფეხურზე შეიძლება იყოს ადეკვატური და არაადეკვატური, ე.ი. რეალურ შესაძლებლობათა სწორად ან არასწორად ამსახავი. არაადეკვატური შეფასების დროს, ხშირია მოსწავლეთა წარუმატებლობა და კონფლიქტები, ირღვევა მათი პიროვნების ჰარმონიულობა. ადეკვატური თვითშეფასება ხელს უწყობს მოსწავლეთა საკუთარ ძალებში დარწმუნებას, თვითკრიტიკულობას, მომთხოვნელობას, ხოლო არაადეკვატური – დაურწმუნებლობას ან ზედმეტად თავდაჯერებულობის განვითარებას.

საკუთარი თავისადმი ადეკვატური დამოკიდებულება თვითშეფასების განვითარების უმაღლესი სტადიაა და იგი ზრდასრულ ადამიანებთან მიიღწევა.

უმცროს სასკოლო ასაკში, საკუთარ თავზე შეხედულებების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გამოიყოფა სამი ჯგუფი.

პირველ ჯგუფს ის მოსწავლეები მიეკუთვნებიან, რომელთა შეხედულება საკუთარ თავზე ადეკვატურია და მყარი. ამ ჯგუფის ბავშვებს საკუთარი ქცევის ანალიზი, მისი მოტივის განსაზღვრა და საკუთარ თავზე ფიქრი შეუძლიათ. ეს ბავშვები, უმეტესად, საკუთარი ცოდნის საფუძველზე ახორციელებენ ქცევებს, ვიდრე უფროსების შეფასებით.

მეორე ჯგუფში ის მოსწავლეები შედიან, რომელთა თვითშეფასება არაადეკვატური და არამყარია, ვინაიდან მათ არ აქვთ თვითკრიტიკისა და სამყაროს ანალიზის უნარი, თუმცა, ზოგიერთ სიტუაციაში საკუთარი თავის ადეკვატური შეფასება შეუძლიათ.

მესამე ჯგუფის მოსწავლეებს საკუთარ თავზე შეხედულებები უფროსების თვალსაზრისის მიხედვით უყალიბდებათ. ისინი სხვათა აზრს ითვალისწინებენ, შესაბამისად, მათი თვითშეფასებაც არაადეკვატურია.

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა თვითშეფასება იზრდება კლასიდან კლასში, ბავშვებს თვითშეფასების ყველა ფორმა ახასიათებთ – მყარი ადეკვატური, მყარი აწეული, მყარი დაქვეითებული. თუმცა, ამ ასაკში მყარი დაქვეითებული თვითშეფასება იშვიათია.

ადეკვატური თვითშეფასების მქონე ბავშვები საზრიანები არიან, იუმორის გრძნობა აქვთ, კარგ ურთიერთობაში არიან უფროსებთან და თანატოლებთან, თავიანთ ნამუშევრებში დამოუკიდებლად პოულობენ შეცდომებს, ისინი აქტიური არიან, აქვთ მიზნის მიღწევის მოთხოვნილება, დარწმუნებული არიან საკუთარი ძალებით წარმატების მიღწევაში.

არაადეკვატური დაქვეითებული თვითშეფასება ქცევის და პიროვნულ თვითშეფასებაში ვლინდება. თუ ასეთ მოსწავლეებს დავავალებთ, შეამოწმონ თავიანთი ნამუშევარი და იპოვონ შეცდომები, ისინი ამ დავალებას დამოუკიდებლად ვერ ასრულებენ, მოსწავლეთა დახმარებით კი ახერხებენ. ასეთი თვითშეფასების ბავშვები ადვილ ამოცანებს ირჩევენ შესასრულებლად.

აწეული თვითშეფასების მოსწავლეები გაითავისებენ ხოლმე საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებს, პიროვნულ თვისებებს, ისინი ისეთ ამოცანებს ირჩევენ, რომელთა გადაჭრა მათ აშკარად არ შეუძლიათ.

ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა აქვს სწავლის პროცესს. უმცროსკლასელთა სასწავლო წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ მათ გონებრივ შესაძლებლობებზე, ნიჭზე, უნარებზე, არამედ მათ პიროვნულ თვისებებზეც, რომელთაგანაც თვითშეფასებასა და თვითკრიტიკულობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ეს თვისებები მოსწავლეთა ქცევის შედეგებისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავენ.

დაშვებული შეცდომებისადმი და საკუთარი ნაკლისადმი ბავშვების დამოკიდებულება პიროვნების შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

უმცროსკლასელთა თვითშეფასება არა მარტო საკუთარ შესაძლებლობათა შეფასებაში, არამედ სხვების მიღწევათა შეფასებაშიც ვლინდება. აწეული თვითშეფასების ბავშვები სხვებს აკრიტიკებენ, ხოლო დაქვეითებული თვითშეფასების ბავშვები კი თანაკლასელთა მიღწევებს გადააფასებენ. საკუთარი თავის მიმართ არაკრიტიკული ბავშვები კრიტიკულად არიან სხვების მიმართ განწყობილი. თუ პირველ ან მეორეკლასელ ათოსანს მივცემთ მისივე და სხვა ათოსნის თანაბარი ხარისხის ნამუშევარს, საკუთარ ნამუშევარს უპრობლემოდ დაუწერს ათიანს, ხოლო თანაკლასელის ნამუშევარში ბევრ შეცდომას აღმოაჩენს. როცა მეორეკლასელს ეკითხებიან, დავალებას როგორ შეასრულებს თვითონ და მისი თანაკლასელი, ათოსანი მოსწავლე დაბეჯითებით პასუხობს, რომ ის აუცილებლად ათიანზე შეასრულებს, ხოლო თანაკლასელზე მიუთითებს, რომ ისიც შეძლებს კარგად შესრულებას, მაგრამ შეიძლება რაღაც შეცდომა დაუშვას.

დაბალი შეფასების მქონე მოსწავლეების მიმართ ათოსან მოსწავლეებს აწეული თვითშეფასება და მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აქვთ. მაღალი თვითშეფასების მოსწავლეები საკუთარ შესაძლებლობებს სწორად აფასებენ და დაწრმუნებული არიან საკუთარი ძალებით წარმატების მოპოვებაში, ხოლო დაბალი შეფასების ბავშვებისათვის დამახასიათებელია დაურწმუნებლობა, პესიმიზმი. ისინი მგრძნობიარენი არიან მასწავლებელთა მოწონების მიმართ, რაც თვითშეფასებას ძალიან ამაღლებს.

ამრიგად, მიმაჩნია, რომ დაწყებით საფეხურზე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეებში თვითშეფასების უნარის სწორად წარმართვას, რაც პიროვნების განვითარებას უწყობს ხელს. მასწავლებელი ვალებულია, თანადგომითა და წახალისებით, საშუალება მისცეს დაბალი თვითშეფასების მქონე მოსწავლეებს, აიმაღლონ თვითშეფასება, ხოლო მაღალი თვითშეფასების მოსწავლეებს – გაუმყაროს ეს უნარი. აღნიშნული მათ წინსვლაში დაეხმარება.

თამარ ყიფიანი
სსიპ ქალაქ თბილისის №190 საჯარო სკოლის ინგლისური ენის უფროსი პედაგოგი

სასკოლო აქტივობა

მოსწავლეების სიყვარული – ფასდაუდებლი ჯილდო

მე-60 საჯარო სკოლის (დირექტორი – **შოთა მალაზონია**) III[1] კლასის დამრიგებელი **ლია ბახუტაშვილი** თავმდაბალი, გაწონასწორებული, გამრჯე, თავისი საქმის პროფესიონალი და, რაც მთავარია, ბავშვების სიყვარულით გულანთებული პედაგოგია. მისთვის პატარა გოგო-ბიჭებზე ზრუნვა, სწორ გზაზე დაყენება, საინტერესო გაკვეთილების შეთავაზება უალტერნატივოა.

მესამე წელია, მასთან მიწევს ურთიერთობა (ჩემი შვილიშვილი – ანასტასია მისი აღსაზრდელია) და ვხედავ, როგორ უყვართ ლია მასწავლებელი პატარებს, ისინი სიყვარულზე სიყვარულით პასუხობენ.

პედაგოგის გზა არ არის იოლი, დამღლელი, განსაცდელითა და ბრძოლით სავსეა, მაგრამ ყოველთვის შედეგზეა ორიენტირებული. ქალბატონი ლიას ყოველი გაკვეთილის თუ პროექტის მიზანია თავისუფალი, მოაზროვნე, დამოუკიდებელი პიროვნების აღზრდა-ჩამოყალიბება. ამის დასტურია III1 კლასის აღსაზრდელებთან დადგმული სპექტაკლი – „გოჭი პინკის ახალი ჰალსტუხი“. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა, დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთი გამარჯვების თანამონაწილე გახდა. აღფრთოვნება ვერ დამალა თბილისის №149 სკოლის დირექტორმა, ნანა ჯუღელმა (ისიც ბებიის რანგში ესწრებოდა სპექტაკლს). ამბობს, რომ მათი ოჯახისთვის დიდი პატივია, ბარბარე ქალბატონი ლიას აღსაზრდელი რომ არის.

ფერმერი ალვარესის მოთხრობა ეკონომიკასა და მის ეზოში მცხოვრებ ცხოველებს ეხება: ცხენი – ხეირი, ძროხა – კორკი, ცხვარი – შერა, მამალი – რუდი და გოჭი – პინკი არაჩვეულებრივად, ნამდვილი მსახიობებივით განასახიერეს პატარებმა. სპექტაკლს მეტი დამაჯერებლობა და ხალისი შემატა სკოლის მუსიკის პედაგოგის, კომპოზიტორის, **ნანა გველესიანის** სიმღერებმა, რომლებიც ამ ღონისძიებისთვის დაიწერა.

ეკონომიკასთან დაკავშირებული საკითხების სხვადასხვა დისციპლინებთან ინტეგრაციის პროგრამას აღსაზრდელებმა ღირსეულად, წარმატებით გაართვეს თავი. ინტეგრაცია ბუნებრივად, თამაშის სახით იყო წარმოდგენილი.

ამ დღემ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს პატარებს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან ინტეგრაცია არ გაუჭირდებათ. მათ გააზრებულად იციან მომხმარებლისა თუ საქონლის, მომსახურებისა თუ მოთხოვნილებების, შეზღუდვებისა თუ ალტერნატიული ღირებულებების, ბუნებრივი თუ კაპიტალური რესურსის, ადამიანური შრომისა თუ ბარტერის არსი და მნიშვნელობა.

ბავშვებმა საკმარისზე მეტი იციან არა მხოლოდ ეკონომიკაზე, ზოგადად, ცხოვრებაზე, ადამიანურ ფასეულობებსა და ღირებულებებზე. იციან ისიც, რომ უფალმა ამქვეყნად კეთილი საქმეების საკეთებლად და საყვარელი სამშობლოს გასაძლიერებლად მოავლინა ისინი.

მინდა მადლობა გადავუხადო მე-60 საჯარო სკოლის დირექციას, განსაკუთრებით კი დირექტორს, **შოთა მალაზონიას**. ის ყოველთვის მხარში უდგას პედაგოგებს და ამა თუ იმ პროექტის წარმატებით განხორციელებაში ეხმარება, თანაბრად ზრუნავს გამოცდილ თუ ახალბედა პედაგოგებზე.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ სწორედ ქალბატონი ლიას მსგავსმა, ძლიერი ნებისა და სუფთა სულის პედაგოგებმა გამოატარეს სკოლა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში, გაყინული საკლასო ოთახებისა და ხელფასების ფონზე და დღემდე აგრძელებენ ღირსეულ საქმიანობას. ფასდაუდებელი ჯილდო – მოსწავლეების სიყვარული ყოფილიყოს თქვენი მომავლის გზამკვლევი.

ნაზი ხვისტანი

ჩვენი ვალია...

არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონში“, მესამე წელია, აღინიშნება ეროვნული სამოსის დღე – 18 მაისი. მოსწავლეები და მასწავლებლები სათანადოდ იმოსებიან, ტარდება ფოლკლორის საღამო, ისტორიისა და ქართული ლიტერატურის გაკვეთილები ეძღვნება ამ თემას, დასვენებაზე ისმის ხალხური ჰანგები, დერეფნებში მოსწავლეები ცეკვავენ.

წელს ეს დღე უფრო საინტერესო გახადა ფოლკლორის დედოფლის – **ეთერ თათარაიძის** სტუმრობამ. ქალბატონი ეთერი შეხვდა მოსწავლეებს და დიდი სიყვარულით ესაუბრა ხალხურ სიტყვიერებაზე, სტუმრის სამოსიც ხევსურული ორნამენტებით იყო მოქარგული.

ფოლკლორი ერის საუნჯეა. მითი, ზღაპარი, თქმულება, ცეკვა, სიმღერა – გვაცნობს ტრადიციას, ხასიათს, სიბრძნეს. ქართული ეროვნული სამოსის თითოეული დეტალი სხვადასხვა კუთხის სუნთქვას, ფიქრს, სიხარულსა და დარდს იტევს. ძველ კაბაზე, ქამარზე, ქუდზე მოქარგულ ყველა ორნამენტს თავისი სიცოცხლე აქვს – თავგადასავლითა და მოგონებებით სავსე. გვაქვს უფლება, ეს მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებად ვაქციოთ?! რა თქმა უნდა, არა!

როგორ უნდა გავზარდოთ თაობები, რომლებიც საკუთარი ცხოვრებით ღირსეულ სიტყვას იტყვიან... ეს დიდი პასუხისმგებლობა სკოლას ეკისრება. ჩვენ ვიცით, ადამიანი ვერასდროს იქნება წარმატებული, თუ არ გააცნობიერა „ვისი გორისაა“.

ამიტომ ჩვენ, უფროსებმა, საკუთარი დამოკიდებულებით უნდა დავანახოთ მოზარდებს ეროვნული საუნჯის ფასი, ძალა, ღირებულება. შევაყვაროთ წინაპრების შექმნილი საუნჯე, რათა ხვალ თავადაც შექმნან ახალი.

არასახელმწიფო საერო სკოლა „ალბიონის“ პედაგოგიური კოლექტივი

რესურსებით სწავლება

გაკვეთილის მზაობისთვის ხელშემწყობი ინსტრუმენტი

ნებისმიერი ხარისხიანი პროდუქციის წარმოებისთვის საჭიროა რესურსი. რესურსის გარეშე გაკვეთილის ჩატარება ზღუდავს ბავშვთა მზაობას, გაკვეთილის დასაწყისშივე, გაკვეთილი ემსგავსება „აბურდული ძაფის გორგალს“, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული.

აღქმა, განწყობა, მოტივაცია, ჩართულობა – გაკვეთილის მთავარი თვისებებია, რომელიც მასწავლებელს გაკვეთილის წარმართვაში ეხმარება. რესურსის გარეშე დაგეგმილი გაკვეთილი უმართავია და ქაოსური.

მე, როგორც პედაგოგს, მომწონს მრავალფეროვანი რესურსებით ჩატარებული გაკვეთილები, როცა ბავშვთა ინტერესის სფეროს ვაღვიძებ და მათი მეხსიერება მუშა პროცესშია.

ერთ-ერთი რესურსი, რომელიც მეხუთე კლასში გამოვიყენე, „ცოდნის ლაბირინთია“, თამაშის წესი შემდგომში მდგომარეობს: მოსწავლეებს ვუნაწილებ მათივე სახელობის ქაღალდის გემებს (მაგ: დათო, ანანო, გუგა...), რომლებშიც მოთავსებულია ფერადი ფურცლები თავისი ინსტრუქციით, ფლიფჩარტზე დახაზული მაქვს ლაბირინთი, მოსწავლეებმა უნდა გაცურონ შავი ზღვიდან ატლანტის ოკეანეში, მათ თანმიმდევრულად ის სრუტეები და ზღვები უნდა დაასახელონ, რომლითაც გაცურავენ ოკეანეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი გემი გაჩერდება იქ, სადაც არასწორად დაასახელებენ გეოგრაფიულ ობიექტს. შეუძლიათ რუკის გამოყენება.

მეორე რესურსი – „კოდის გახსნა“, რომელსაც ლექსიკონის დროს ვიყენებ.

თითოეული ციფრის ქვეშ მოთავსებულია ანბანი და მოსწავლემ, ამ ციფრების დახმარებით, ჩემი მიმანიშნებელი კითხვის შემდეგ, დაშიფრული კოდი უნდა გახსნას.

კოდის გახსნის ნიმუში:

1	2	3	4	5	6	7	8	9	0
აბგდ	ევზთ	იკლმ	ნოპ	ჟრს	ტუფ	ქღყ	შჩც	ძწჭ	ხჯჰ

კითხვა:

- მცენარის საკვების დამზადების პროცესი? **6 4 6 4 5 3 4 2 2 2 3 (ფოტოსინთეზი)**
- ყვავილის ძირითადი ორგანო? **1 6 6 3 4 (ბუტკო)**
- ხელოვნური მასალა, რომლის დასამზადებლად საჭიროა ქვიშა, კირქვა, სოდა, მაღალი ტემპერატურა? **3 3 4 1 (მინა)**
- ორგანიზმის წითელი მდინარე? **5 3 5 0 3 3 (სისხლი)**
- დედამიწის უმაღლესი მწვერვალი? **2 2 2 5 2 5 6 3 (ევერესტი)**

დასკვნა: ჩემ მიერ შექმნილი რესურსები მრავალჯერადი გამოყენებისაა, გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზე შეგვიძლია გამოვიყენოთ. ამ ტიპის რესურსი მოსწავლეებს მიღებული ცოდნის რეალიზებაში ეხმარება.

რუსუდან ხინიკაძე

სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის ბუნებისმეტყველების უფროსი მასწავლებელი

რესურსებით აწყობილი ისტორია

სწავლების პროცესში მრავალფეროვანი ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ჩემს საგაკვეთილო პროცესში მუდმივად ვცდილობ, წარმატებულად გამოვიყენო ეს მეთოდები, ექსპერტების მიერ მოწოდებული თუ მოდიფიცირებული სახით. ყველა მეთოდს კონკრეტული დატვირთვა აქვს, რომლის შედეგად მოსწავლეებში ხდება სააზროვნო უნარების განვითარება, გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, მოტივაციის, ინიციატივისა თუ პასუხისმგებლობის ზრდა. ამასთან, მუდმივად ვცდილობ, რომ სასკოლო სივრცეში მიღებული ცოდნა მოსწავლემ, სამომავლოდ, წარმატებულად გამოიყენოს სხვადასხვა კონტექსტში.

რესურსებით სწავლებისას, დამოუკიდებლადაც ვქმნი რესურსს და მოსწავლეებთან ერთადაც. როგორც ყველა მასწავლებელი, მეც ვცდილობ ამ რესურსების მიზნობრივად/შედეგიანად გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში.

ამჯერად შემოგთავაზებთ ჩემ მიერ შექმნილ და საგაკვეთილო პროცესში გამოყენებულ ორ რესურსს.

მე-8 კლასისთვის მოვამზადე რესურსი **„თეთრები და შავები“**, შემდეგ თემასთან მიმართებაში – „მარტინ ლუთერ კინგი. აფროამერიკელების ბრძოლა სამოქალაქო თანასწორობისათვის“, სადაც ყურადღება გამახვილებულია მეტად მნიშვნელოვან საკითხზე – რასობრივ სეგრეგაციაზე.

მოსწავლეებმა, რესურსის გაცნობის შემდეგ, გამართეს დისკუსია თემაზე – „რასობრივი სეგრეგაცია – მხარდაჭერა თუ უარყოფა“. სადისკუსიო საკითხისადმი დამოკიდებულებით ჩამოყალიბდა ორი ჯგუფი. ჯგუფებმა, დისკუსიის რუკაზე, დაიტანეს თავიანთი პოზიციები, წარმოადგინეს არგუმენტები. მხარდამჭერთა რიცხვი ისედაც მცირე იყო, თუმცა, მეორე ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა მათთვის პირვანდელი შეხედულების შესაცვლელად. საბოლოოდ დასკვნაც დადეს იმის თაობაზე, რომ რასობრივი სეგრეგაცია დანაშაულია, რომ თეთრი და შავი მართლაც მხოლოდ ფერებია, რომელიც ერთმანეთს ძალიან უხდება (ამ სიტყვებით სრულდება რესურსი). მოსწავლეებმა თეორიულად ჩამოაყალიბეს ის იდეები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ პრობლემის მოგვარება.

ამ რესურსმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში შემდეგი უნარების განვითარებას: კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გამოვლენისა და მისი მოგვარების, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის აუცილებელი პირობების გააზრებისა თუ ტოლერანტობის.

ამ რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:
https://www.blogger.com/video.g?token=AD6v5dy337hnsAOjuqfoJGBpFxlq3BY7j2Yr7cN3nux_0xYXKdJXQpwoMRAAX8knRBXFlHR2cJxXUdApZ4EYs1si99ZiQ7o5GDlBrgC_oNisHFRKg_RitqHGUB8yrEogaZhSg_WUAc

„არგონავტები“ მე-9 კლასისთვის შექმნილი რესურსია თემის შესაბამისად – საგაკვეთილო თემა იყო „კოლხეთი მითსა და სინამდვილეში“; რესურსი poowtoon-ის პროგრამაშია შექმნილი, იოლად აღქმადია.

მოსწავლეები ჯგუფებად დავყავი და, რესურსის წარდგენამდე, სათანადო ინსტრუქცია მივეცი:

- I ჯგუფს – რესურსიდან ღმერთებისა და გმირების შესახებ უნდა ამოეცნოთ/წარმოედგინათ ინფორმაცია და გამოეტანათ დასკვნა მათი როლისა და ადგილის შესახებ ადამიანთა ცხოვრებაში;
- II ჯგუფს – ბუნებრივი რესურსებისა და მეურნეობის განვითარების შესახებ;
- III ჯგუფს – სახელმწიფო მმართველობის შესახებ;
- IV ჯგუფს – ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნა, ამ მითში თუ რა შეიძლება ყოფილიყო რეალური და რა –არარეალური.

ყველა ჯგუფს უნდა დაენახა რესურსის მიღმა არსებული ლოგიკა და გამოეთქვათ აზრი იმის შესახებ, რაც რესურსში არ ჩანდა, მაგრამ შესაძლოა ყოფილიყო/მომხდარიყო და, მასზე დაყრდნობით, ახალი ისტორია შეექმნათ.

მოსწავლეებმა დავალება ინსტრუქციის შესაბამისად შეასრულეს. ამ გაკვეთილზე მათ გამოიმუშავეს შემდეგი უნარები: ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჭრილში გააზრების, კონკრეტული ინფორმაციის ამოცნობისა და ანალიზის, რესურსის მიღმა არსებული ლოგიკის აღქმისა და მის საფუძველზე კონკრეტული ისტორიის შექმნის.

მოსწავლეებს განვუმარტე რესურსში მოცემული უცხო ტერმინები.

ამ რესურსის ნახვა შეგიძლიათ შემდეგ ლინკზე:
https://www.blogger.com/video.g?token=AD6v5dzOxVR-9Wv0YO0DLhci-RT7JHUbonnQN-awe8HmIX0tkk76P8u1m64Kn5sjXqLr-KmNoYgrAQ61Rs4YK1_a_FqWe0hZjYMLlX3FrGsEtXXjceMoyiRs47oatgbWfOzsNY7bJ3Xg

რესურსების მიზნობრივი გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ეფექტური სასწავლო შედეგის მიღწევას განაპირობებს.

ნათელა მაჭარაშვილი

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახ. საჩხერის №2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

გამოცდილება

კლუბური მუშაობის პრაქტიკა ბუნებისმეტყველების საგნებში

სკოლებში ბუნებისმეტყველების საგნების მიმართ მოსწავლეთა შემცირებული ინტერესის ფონზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკლუბო მუშაობას. ამ მიზნით ჩვენს სკოლაში ჩამოვაყალიბეთ ბუნებისმეტყველთა კლუბი „ქიმია და ეკოლოგია“, რომელსაც ვხელმძღვანელობ და რომლის მიზანია, მოსწავლეები გაეცნონ თანამედროვე ნანოტექნოლოგიებს, ქვეყნის ძირითადი ენერგორესურსის – ნავთობის შემადგენლობას და მისგან მიღებული პროდუქციის ყოფა-ცხოვრებაში გამოყენებას, წარმოქმნილ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. კლუბში მუშაობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მოსწავლეებმა კარგად გაიაზრონ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების პრაქტიკული მნიშვნელობა, გაითავისონ, რომ ნავთობისაგან დამზადებულ პროდუქციას აქვს როგორც საწარმოო მნიშვნელობა (პოლიმერული მასალები, ნეილონი, რეზინი, ხელოვნური ცვილი), ასევე დიდია მათი როლი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამ სფეროში ხშირად გამოყენებული ნავთობპროდუქტებია: მედიკამენტები, პარფიუმერია, ხელოვნური ხორცის პროდუქტები, ცელოფანი და სხვ. მოსწავლეები დარწმუნდებიან, რომ ნავთობი ამოუწურავი წიაღისეული რესურსია და, მსოფლიო ეკონომიკაში, მთავარ ენერგომატარებელ რესურსს წარმოადგენს, რომლის პროდუქცია მოიხმარება მრეწველობის ყველა სხვა დარგის მიერ და რომელიც უზრუნველყოფს ენერგორესურსების მსოფლიო მოთხოვნების 1/3-ს.

მიზნის მისაღწევად, კლუბის მუშაობის ფარგლებში, მოსწავლეები იღრმავებენ არა მარტო თეორიულ ცოდნას, არამედ ამ ცოდნას განიმტკიცებენ პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებით. ინტერნეტსაიტების გამოყენებით, ისინი გაეცვნენ ნახშირწყალბადების ბუნებრივი ნედლეულის – ნავთობის ქიმიურ შემადგენლობას, მისი ფრაქციებად დაყოფის პრინციპს, ამ მიზნით გამოყენებულ ტექნოლოგიურ დანადგარებს და ლაბორატორიულ ჭურჭელს. მოიძიეს ინფორმაცია ნავთობისგან დამზადებულ პროდუქციაზე.

მოსწავლეები განსაკუთრებით დაინტერესდნენ ნავთობის ნანოტექნოლოგიით მიღებული ხანგრძლივი ქმედების აზოტოვანი ცეოლიტური სასუქის სახეობებით და სოფლის მეურნეობაში მათი გამოყენებით. ინტერესით მოიძიეს ინფორმაცია ნავთობისგან მედიკამენტური პრეპარატების (ასპირინის, ფენილის, სალიცილატის, პარა ამინოსალიცილის მჟავის, ანტიბიოტიკების, ანტიალერგენების, ანტიმიკროზული პრეპარატების) დამზადების შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ამ მედიკამენტების გამოყენების ფართო სპექტრმა. წარმოგიდგენთ მათ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას:

- ცვილი (ხელოვნური) – საპოხი მასალა, ფაიფურის წარმოება, საავტომობილო საბურავები, სანთლები და სხვა;
- წამლები ნავთობიდან – ფენილ სალიცილატი (ანტისეპტიკური), პარაამინოსალიცილის მჟავა (ტუბერკულოზის სამკურნალოდ), ანტიბიოტიკები, სულფიდინები, სტრეპტოციდი, სულფადიმეზინი და სხვა;
- სუნამოები, დეზოდორები, შამპუნები, თმის საღებავები – ნავთობპროდუქტიდან სინთეზირებულია 100-ზე მეტი ყვავილის არომატი, რომელსაც თავის პროდუქციებში იყენებენ ცნობილი ბრენდები, მაგ., ინდოლს აქვს ჟასმინის არომატი, ფენილეთილის სპირტს – ვარდის და ა.შ. ყველა კოსმეტიკური საშუალება შეიცავს: მინერალურ ზეთს, თხევად პარაფინს, პეტროლატუნს, პროპილენგლიკოლს და სხვა;
- საღეჭი რეზინა – შეიქმნა მე-19 საუკუნეში სტრესის მოსახსნელად, ურიგებდნენ სამხედროებს, პოლიციელებს და მეხანძრეებს;
- პლასტმასი – ყოველწლიურად, მიიღება 130 000ტ ეთილენი, რაც პლასტმასის წარმოების ძირითადი ნედლეულია. აქვს ფართო გამოყენება როგორც ყოფა-ცხოვრებაში, ასევე ტექნიკაში;
- ტანსაცმელი – ნეილონი, შეიქმნა 1935 წელს, სპორტული და ტურისტული ტანსაცმელი, სამხედროების და სპეცსამსახურების უნიფორმა;
- რეზინა – სინთეზური კაუჩუკი, შეიქმნა 1931 წელს, მათგან მიიღება ათასობით ტონა სხვადასხვა დასახელების პროდუქცია: სათამაშოები, სამხედრო ტექნიკის დეტალები, კალოშები;
- საკვები – 1957 წელს, საფრანგეთში, მიიღეს ცილოვანი ნაერთები, რომლისგანაც შეიძლება დამზადდეს ხელოვნური ხორცის პროდუქტი: ფარში, ძეხვი, სოსისი.

კლუბის მუშაობის ფარგლებში, მოსწავლეები ეწვივნენ პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობქიმიის ლაბორატორიას, სადაც ჩაუტარდათ რამდენიმე პრაქტიკული მეცადინეობა, მონაწილეობდნენ მარტივ კვლევებში. მოსწავლეებმა, ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეცნიერების ფესტივალში, რომელიც ამავე ინსტიტუტში ჩატარდა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ სასარგებლოა მოსწავლეთა ჩართვა კლუბურ მუშაობასა და მეცნიერული კვლევის პოცესებში. ამ გზით იზრდება მათი ინტერესი ბუნებისმეტყველების საგნების მიმართ.

ნინო ფარცვანია
ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქიმიის უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. *გ. სუპატაშვილი – გარემოს ქიმია (ეკოქიმია), თსუ გამომცემლობა, თბილისი, გვ187, 2009.*
2. *http:\\snkoil.\press-tsentr\polezno-pochitat\produkty-iz-nefti*
3. *https:\\www.fontanka.ru\Longreads\azbuka*

სწავლების მეთოდი

მოსწავლეთა მოტივირება გამჭოლი კომპეტენციების უნარ-ჩვევების განმტკიცებისათვის

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლამ სწავლის ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა მოსწავლის, როგორც სოციალურად სრულფასოვანი მოქალაქის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარება. სამოქალაქო და სოციალური კომპეტენცია ერთ-ერთია იმ ცხრა გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციიდან, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. ასევე პრიორიტეტულია მოსწავლეთა ეკოლოგიური კომპეტენციის განვითარება, რადგანაც სამოქალაქო, სოციალური და ეკოლოგიური უნარები თითქმის განუყოფელია. ამ კომპეტენციების განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეების სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი უნარებისა და ღირებულებების ფორმირებას.

კომპლექსური უნარების განვითარებას ხელს უწყობს სასკოლო პრაქტიკაში პროექტული სწავლების დანერგვა. პროექტული სწავლების მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში საშუალებას გვაძლევს, აქტიურად და მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ტექნოლოგიები იმისათვის, რომ მოსწავლეებმა იაზროვნონ კრიტიკულად, ჰქონდეთ დამოუკიდებლად მუშაობის უნარი და იყვნენ შემოქმედებითები. კომპლექსური უნარების განვითარებისათვის კომპლექსური მიდგომაა საჭირო. მსურს, გაგიზიაროთ ჩემი მცირეოდენი გამოცდილება ამ საქმეში.

მე-9 კლასში, საქართველოს ისტორიის სწავლებისას, შევნიშნე, რომ მოსწავლეებს უჭირთ (ან, მაინცდამაინც დიდად დაინტერესებულნი არ არიან) მოძიებული ინფორმაციის დამუშავება-დახარისხება და კონკრეტული თემის გარშემო დაჯგუფება. ამას ისიც ემატება, რომ ამ ასაკის მოსწავლეებისთვის უკანა პლანზე გადადის მოქალაქეობრივი მოვალეობები და სხვა ინტერესები იჩენს ხოლმე თავს. გადავწყვიტე, მეძებნა გზები და რაიმე ახალი ფორმით დამეინტერესებინა მოსწავლეები. ასეთი გზა მალე გამოჩნდა – როცა მეცხრეკლასელებმა სამოქალაქო განათლებაში ხელისუფლების შტოები შეისწავლეს, სასამართლო პროცესის სიმულაციის სურვილი გამოთქვეს. ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლებმა, ერთობლივად, გადავწყვიტეთ, ეს სურვილი გამოგვეყენებინა ისევ მათსავე სასარგებლოდ, მოგვემზადებინა ინტეგრირებული გაკვეთილი-პროექტი ისტორია-სამოქალაქო განათლებაში. მოსწავლეებთან ერთად ვიმსჯელეთ, ვინ დაგვესვა განსასჯელის სკამზე. გაჩნდა იდეა: გავასამართლოთ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი; მისი განსჯის მიზნით, მოსწავლეებს საკმაო მოცულობის ინფორმაციის მოძიება და, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მიხედვით, დამუშავება მოუწევდათ. მათ სამართლებრივ ჩარჩოში უნდა განეხილათ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დადებითი და უარყოფითი შედეგები და გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ზეგავლენა. ეს კი, საუკეთესო საშუალება იქნებოდა ჩვენი მიზნების განსახორციელებლად. კონსულტაცია ვთხოვეთ მომიჯნავე საგნების მასწავლებლებსაც.

მოსწავლეებს, თავიანთი შესაძლებლობების მიხედვით, გავუნაწილეთ დავალებები: მოეძიებინათ, დაეხარისხებინათ და გაეანალიზებინათ ინფორმაცია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დადებით და უარყოფით გამოვლინებებზე. მოვამზადეთ სასამართლო პროცესის სცენარი, რომელიც გაკვეთილის ტიპს მოვარგეთ: განსასჯელის მოწმეები სასამართლოს აძლევდნენ არგუმენტირებულ, დასაბუთებულ ჩვენებებს ადამიანისთვის მისი სასარგებლო ან საზიანო გამოვლინებების შესახებ, თავიანთი ნათქვამის დასამტკიცებლად იყენებდნენ სლაიდებს, ფოტომასალას, სხვადასხვა ნივთებსა და ტექნიკას. ყოველი მათგანი საკუთარ პოზიციას იცავდა და არც კამათს ერიდებოდა... ასევე არგუმენტირებული და საქართველოს კონსტიტუციიდან მოყვანილი შესაბამისი მუხლებით იყო გამაგრებული მოსამართლის, პროკურორისა და ადვოკატის მსჯელობა.

მოსწავლეები, თითქმის ორი კვირის მანძილზე, აგროვებდნენ ინფორმაციას, მოირგეს როლები და ამ როლების მიხედვით დაახარისხეს მოძიებული ინფორმაცია, დაურთეს კომენტარები საკუთარი შეხედულებების მიხედვით. მოამზადეს, დაამზადეს, ითხოვეს, გადაიღეს, დახატეს მათთვის საჭირო რესურსები და თვალსაჩინოება.

სასამართლოზე გამოცხადდნენ „მოწმეები“: ქალბატონი მედიცინა, ბატონი სპორტი, ბატონი სოფლის მეურნეობა, მისი უმამაცესობა არმია, მისი უმშვენიერესობა ხელოვნება, ქალბატონი ტექნიკა, პატივცემული დიასახლისი, მისი უგანათლებულესობა მეცნიერება, მისი უმაღლესობა ეკოლოგია, მისი უცნობისმოყვარულესობა მასმედია... ვიდრე სასამართლო განაჩენის გამოსატანად იმყოფებოდა, მისმა უცნობისმოყვარულესობა მასმედიამ ორი რესპონდენტისგან აიღო ინტერვიუ მომავლის საქართველოს შესახებ. წარმოადგინა, აგრეთვე, საზოგადოებრივი აზრის კვლევა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების შესახებ. მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენიც ლოგიკური იყო: „შენარჩუნებულ იქნეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი კაცობრიობის მიერ რეგულირებადი კონტროლის პირობებში, ჩაითვალოს იგი კულტურის ერთ-ერთ ფორმად და ნებისმიერ სფეროში დაექვემდებაროს შესაბამის კანონმდებლობას“.

ის, რაც გაკვეთილზე ხდებოდა, იყო დისკუსიაც, პრეზენტაციაც, ეკოლოგიური პრობლემების ანალიზიც, მომავლის პერსპექტივის განხილვაც, სასამართლო პროცესის სიმულაციაც – ყველაფერი ერთად, სინთეზირებული და პრაქტიკული თვალსაზრისით დანახული... და ყველაფერი თამაშით გაკეთებული...

აქტიურობდა კლასის ყველა მოსწავლე, მათ საკუთარი შეხედულებები, დამუშავებული მონაცემები და მტკიცებულებები ეფექტურად და დამაჯერებლად წარმოადგინეს, თვალსაჩინოებების გამოყენებით. შეფასდა მოსწავლეთა დიქცია, მიმიკა, აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი და ა.შ. ისტორიაში აქცენტი გაკეთდა მოსწავლეთა გამჭოლი კომპეტენციის უნარ-ჩვევებზე, ანალიტიკურ აზროვნებაზე, სხვა სასწავლო საგნებთან კავშირზე, ცოდნის ტრანსფერის უნარზე და ა.შ. სამოქალაქო განათლებაში აქცენტირებულ იქნა მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პოზიცია, მათი მიმართება და პასუხისმგებლური დამოკიდებულება კანონთან და საქართველოს კონსტიტუციასთან. ის ცოდნა, რასაც მოსწავლეები სხვადასხვა სასწავლო საგანში ღებულობენ, ამ გაკვეთილზე ვერტიკალურად ტრანსფორმირდა.

ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო: გამჭოლი კომპეტენციების უნარ-ჩვევებისა და ცოდნის ტრანსფერის უნარის განმტკიცების საფუძველზე, მოსწავლეთა მიერ საკუთარი უფლება-მოვალეობის გააზრება, კანონისა და საზოგადოების წინაშე. ყველაფერი ეს გაკეთდა სიმულირებული სასამართლო პროცესის საშუალებით, სახალისო და მოსწავლეთათვის მიმზიდველი ფორმით. პარალელური შედეგი იყო მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის ხელშეწყობა.

მოსწავლეთა მიერ მოპოვებული ინფორმაცია და გაკვეთილზე წარმოდგენილი თვალსაჩინოებები სხვა შემთხვევებშიც გამოყენებადია, როგორც მზა სასწავლო რესურსი. მოსწავლეებმა წარმოაჩინეს საკუთარი შესაძლებლობები, პრობლემის მიმართ პასუხისმგებლობით მიდგომისა და რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უნარი. დადებითი უკუკავშირი მივიღე კოლეგებისგან. აღწერილი მეთოდის გამოყენებისას, ხდება აქტიური და მიზანმიმართული სწავლება, მაღლდება მოტივაცია და სამოქალაქო ცნობიერება. სწავლების პროცესი, რომელიც გათვლილია მოსწავლეების თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე, მუდმივად დადებით შედეგს იძლევა.

მერი ბეჟანიძე
სსიპ ზვიად დავითაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაღელეს საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი

ბატონი სოფლის მეურნეობა

მისი უგანათლებულესობა მეცნიერება

ბატონი სპორტი

ქალბატონი მედიცინა

მისი უმაღლესობა ეკოლოგია

მათემატიკის პედაგოგთათვის

ორ აცდენილ წრფეს შორის მანძილის პოვნის ერთ-ერთი ხერხი

გამოცდილი მასწავლებლისთვის კარგად არის ნაცნობი, თუ რა სირთულესთანაა დაკავშირებული ორ აცდენილ წრფეს შორის მანძილის პოვნაზე ამოცანების ამოხსნის სწავლება იმ მოსწავლეებისთვის, ვისაც მათემატიკისადმი აქვს მიდრეკილება. მაგრამ სრულიად წარმოუდგენელ სირთულეებთან არის დაკავშირებული ამ საკითხის აღქმა მათთვის, ვინც მათემატიკისადმი მეგობრულად არ არის განწყობილი.

ამ სტატიაში მინდა გაგიზიაროთ ჩემ მიერ მიგნებული ერთ-ერთი ხერხი, რომელიც ყველა დონის მოსწავლეს გაუადვილებს ასეთი ამოცანების ამოხსნას. ამისათვის საჭირო იქნება ბავშვის ცოტაოდენი ძალისხმევა და მონდომება, მასწავლებლისგან კი, მოსწავლის გამხნევება. საკმარისია, მოსწავლე ეტაპობრივად შევაჩვიოთ ჩემ მიერ მიგნებული ალგორითმის გამოყენებას.

გავიხსენოთ აცდენილი წრფეების განსაზღვრება: ორ წრფეს, რომლებზედაც სიბრტყე არ გაივლება, აცდენილი წრფეები ეწოდება (ნ. ჯაფარიძე, მ. წილოსანი, ნ. წულაია, „მათემატიკა 10“).

თეორემა: ნებისმიერი ორი აცდენილი წრფისათვის არსებობს ერთადერთი მონაკვეთი, რომელიც მართობულია თითოეული წრფისადმი და რომლის ბოლოები მდებარეობს ამ წრფეებზე (ს. სობოლევი. „გეომეტრია. სტერეომეტრია“).

სწორედ ამ მონაკვეთის სიგრძეს უწოდებენ მანძილს აცდენილ წრფეებს შორის.

თეორემაში მითითებული ერთადერთი მონაკვეთის მოძებნა, ძალიან ხშირად, დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან, რაც ბევრ მოსწავლეს უკარგავს ასეთი ამოცანების ამოხსნის მოტივაციას. ამ ნაშრომის ამოცანაა, მოვძებნოთ ისეთი მონაკვეთი, რომლის სიგრძე ტოლი იქნება თეორემაში ნახსენები მონაკვეთის სიგრძისა, ორივე აცდენილი წრფის მართობული იქნება და ბოლოები შეიძლება არ მდებარეობდეს აცდენილ წრფეებზე. ასეთ მონაკვეთს ვუწოდოთ აცდენილი წრფეების საერთო მართობი.

საერთო მართობის სიგრძე, ანუ მანძილი ორ აცდენილ წრფეს შორის, ტოლია ამ წრფეების იმ სიბრტყეზე ორთოგონალურ პროექციებს შორის მანძილისა, რომელიც ერთ-ერთი წრფის მართობულად გადის.

სხვანაირად ეს ალგორითმი მოსწავლეებს ასე შეიძლება წარმოვუდგინოთ: *ავაგოთ (ან მოვძებნოთ უკვე არსებული) ერთ-ერთი წრფისადმი მართობული სიბრტყე. მათი გადაკვეთის წერტილი იქნება ამ წრფის გეგმილი აგებულ სიბრტყეზე. შემდეგ ამავე სიბრტყეზე ავაგოთ (ან აღმოვაჩინოთ უკვე არსებული) მეორე წრფის გეგმილი. პირველი წრფის გეგმილიდან, ანუ პირველი წრფის სიბრტყესთან გადაკვეთის წერტილიდან, დავუშვათ მეორე წრფის გეგმილზე მართობი. ეს მონაკვეთია აცდენილი წრფეების საერთო მართობი და მისი სიგრძე ტოლია ორ აცდენილ წრფეს შორის მანძილისა.*



ამის დამტკიცება არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

დამტკიცება: ვთქვათ l_1 და l_2 აცდენილი წრფეებია. თუ ავაგებთ l_1 წრფის მართობულ α სიბრტყეს, მაშინ ამ წრფის გეგმილი ამ სიბრტყეზე აღმოჩნდება B_1 წერტილი, l_3 წრფეა l_2 წრფის გეგმილი α სიბრტყეზე. B_1 წერტილიდან l_3 წრფეზე დავუშვათ B_1B_2 მართობი.

სწორედ ეს მონაკვეთი აღმოჩნდება აცდენილი წრფეების საერთო მართობი, რადგან l_1 წრფე მართობულია α სიბრტყისადმი, ე.ი. ამ სიბრტყეში მდებარე ნებისმიერი წრფისადმი, კერძოდ B_1B_2 წრფისადმიც და სამი მართობის თეორემით კი, B_1B_2 მართობულია l_2 წრფისადმი. B_1B_2 მონაკვეთის სიგრძე განსაზღვრავს მანძილს მოცემულ აცდენილ წრფეებს შორის.

შემდეგში მოვიყვანთ მაგალითებს ორ აცდენილ წრფეს შორის მანძილის მოძებნაზე, წარმოდგენილი ხერხის გამოყენებით.

ნინელი ადამაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის №83 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

საშოდელო გაკვეთილი

ინტეგრირებული გაკვეთილი

გაკვეთილის სათაური: „ტყე შეუნახე შვილებსა“
კლასი: VII
გაკვეთილის ფორმა: ინტეგრირებული
ინტეგრირებული საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, გეოგრაფია
გაკვეთილის მიზნები:
ქართული ენა და ლიტერატურა – მოსწავლეები მოისმენენ რევაზ ლაღიძის სიმღერას „ტყე შეუნახე შვილებსა“, წაიკითხავენ იმავე სახელწოდების ხალხურ ლექსს და შეადარებენ სამეცნიერო და მხატვრულ ტექსტებს.
გეოგრაფია – მოსწავლეები გაეცნობიან ტყეს და მის სახეებს, შექმნიან კოგნიტურ სქემებს.
ესგ-სთან შესაბამისობა:
ქართ.VII.1. მოსწავლეს შეუძლია უცნობი ინფორმაციის შემცველი ტექსტების მოსმენა და ზეპირი ინფორმაციის წარმოდგენა აუდიტორიის წინაშე.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ისმენს ჩუმად, ჩაინიშნავს ძირითად ფაქტებსა და დებულებებს, საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს არავერბალური ხერხებით: ყურადღებიანი მზერით, თავის დაქნევით და სხვ.
ქართ.VII.7. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება-გაანალიზება, მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• კითხულობს მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებს სხვადასხვა მიზნით (შესწავლის, ესთეტიკური სიამოვნების მიღების, გარკვეული ინფორმაციის მოძიების, გამოხმაურების, შეფასების).
გეო.VII.2. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა თვალსაჩინოების კითხვა გეოგრაფიული ინფორმაციის მოსაპოვებლად.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• ფოტოების, ცხრილების, გრაფიკების და რუკების გამოყენებით, ახდენს გეოგრაფიული ინფორმაციის ინტერპრეტაციას.
გეო.VII.10. მოსწავლეს შეუძლია ახსნას გარემოს დაცვითი ღონისძიებების აუცილებლობა.
შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
• აანალიზებს გეოეკოლოგიური პრობლემების გამომწვევ ბუნებრივ და ანთროპოგენულ ფაქტორებს, ლოკალურ და გლობალურ დონეზე;
• ასახელებს გეოეკოლოგიური პრობლემების შედეგებს და გამოთქვამს ვარაუდს, თუ რა მოხდება მათი გადაუჭრელობის შემთხვევაში.

№	აქტივობის აღწერა	მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო	თითოეული აქტივობის შემდეგ მისაღწევი შედეგები
1	მასწავლებელი ესალმება კლასს და აცნობს გაკვეთილის მიზნებს. შემდეგ მიმართავს კლასს: ჩვენ ახლა მოვისმენთ რევაზ ლაღიძის სიმღერის შესავალს და შევეცდებით, ამოვიცნოთ რას შეიცავს იგი: ა) სევდას; ბ) გაოცებას; გ) მოწოდებას. მოსწავლეები ვარაუდობენ.	აქტიური მოსმენა	მთელ კლასთან	აუდიოჩანაწერი	3წთ	გამოწვევა
2	მასწავლებელი ასმენინებს სიმღერას ბოლომდე. ბავშვები აკეთებენ დასკვნას, რომ სიმღერა მოწოდებაა, რომელიც გვაფრთხილებს, მოვუაროთ ტყეს.	აქტიური მოსმენა	მთელ კლასთან	ლეპტოპი, აუდიოჩანაწერი	5წთ	აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევის გაღრმავება
3	მასწავლებელი სვამს შეკითხვას, ვის შეუძლია განმარტოს, რა არის ტყე? ისმენს რამდენიმე პასუხს.	კითხვა-პასუხი	მთელ კლასთან		2წთ	მოსწავლეები გააააქტიურებენ არსებულ ცოდნას.
4	მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, გადაშალონ გეოგრაფიის წიგნები და წაიკითხონ 49-ე პარაგრაფი.	გააზრებული კითხვა	მთელ კლასთან	გეოგრაფიის სახელმძღვანელო	5წთ	მოსწავლეები მიიღებენ ინფორმაციას ტყის შესახებ.
5	მოსწავლეები წყვილდებიან და ქმნიან კოგნიტურ სქემებს, წაკითხული ინფორმაციის მიხედვით.	კოგნიტურ სქემებზე მუშაობა	მუშაობა წყვილებში	სქემები	7წთ	მოსწავლეები შექმნიან სქემებს.
6	ერთ-ერთ სქემას მასწავლებელი აფასებს წინასწარ შემუშავებული რუბრიკის მიხედვით.	შეფასება	მთელ კლასთან	ერთ-ერთი წყვილის მიერ შექმნილი სქემა	3წთ	მოსწავლეები გაეცნობიან სქემების შეფასების რუბრიკებს.
7	მასწავლებელი კითხულობს ხალხურ ლექსს „ტყე შეუნახე შვილებსა“ და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, ლექსის მიხედვით, რა შედეგები მოჰყვება ტყის გაჩეხვას.	გონებრივი იერიში	მთელ კლასთან	დაფა, ცარცი	3წთ	მოსწავლეები გაიაზრებენ მოსმენილ ტექსტს.
8	მოსწავლეები სხდებიან ჯგუფებად, მათ ურიგდებათ ტექსტები „რა შეიძლება მოჰყვეს ტყის განადგურებას“ და ეძლევათ დავალება, შეადარონ ერთმანეთს ლექსი და ტექსტი. სხვადასხვა ჯგუფი ადარებს სხვადასხვა მეთოდით (T დიაგრამა, ვენნის დიაგრამა, საინფორმაციო ტექსტი).	დიაგრამებით მუშაობა	ჯგუფური მუშაობა	ფორმატის ფურცლები, საწერი საშუალებები	10წთ	მოსწავლეები გაიღრმავებენ შედარების უნარ-ჩვევებს.
9	ჯგუფები ატარებენ პრეზენტაციას.		ცალკეული მოსწავლეები	ჯგუფების ნამუშევრები	5წთ	მოსწავლები გაიღრმავებენ პრეზენტაციის უნარ-ჩვევებს.
10	მასწავლებელი აძლევს საშინაო დავალებას, საპრეზენტაციო პროგრამებისა და სახელმძღვანელოს გამოყენებით მოამზადონ პრეზენტაცია „ტყე“. მოსწავლეები აკეთებენ ზეპირ რეფლექსიას.		მთელ კლასთან		2წთ	

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები: ტყის შესახებ ინფორმაციის გაცნობა, ტყის განადგურების შედეგების გაცნობიერება, ხალხური ლექსის გაცნობა-გააზრება, მხატვრული და საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტების შედარება.

შეფასების ტიპები და მეთოდები: განმავითარებელი შეფასება რუბრიკების საშუალებით (შეფასების რუბრიკები თან ერთვის გეგმას).

ჯგუფის თვითშეფასების კითხვარი

რა იყო საუკეთესო ჯგუფის მუშაობაში? .....
.....
რა პრობლემა ჰქონდა ჯგუფს? .....
.....
როგორ გადაჭერით იგი? .....
.....
კიდევ რისი გაკეთება შეგეძლოთ? .....
.....
რა გეგმები გაქვთ გაუმჯობესებისათვის? .....
.....

სქემის შეფასების რუბრიკა

	კი	არა	ნაწილობრივ
ინფორმაციის სიზუსტე			
ფორმის შესაბამისობა შინაარსთან			
დამატებითი ინფორმაცია, მაგალითები			

კატო ცენტერაძე
ურეკის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ხალხური ლექსების კრებული „ლექსო არ დაიკარგები“, გ. ბარნოვი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი 1985;
2. გეოგრაფია 8, მ. ბლიაძე, გ. ჭანტურია, დ. კერესელიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2012;
3. You Tube. Maia Axalkaci. 9 სექ. 2015. სიმღერა „ტყე შეუნახე შვილებსა“.

საველე გაკვეთილი

ვისი გორისა ვართ

სკოლის დასახელება: პაპოშვილების საჯარო სკოლა
მასწავლებელი: ვარდო ფუტკარაძე
წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია
2019 წლის 6 აპრილი

შესავალი

საქართველოს ისტორიის სწავლებისას, IX კლასში, დავგეგმე სიახლის შეტანა.

ესგ-სთან შესაბამისობა:

ისტ.IX.1. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები და გააანალიზოს ამ მხარეების საზღვრების ისტორიული პროცესებით განპირობებული ცვალებადობა.

ისტ. IX.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საქართველოში არსებული რელიგიებისა და მათი გავრცელების ისტორიული მიზეზების შესახებ.

ისტ. IX.7. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ.

საქართველოს ისტორია, ისევე როგორც საბაზო საფეხურის სხვა საგნები, ახალი გამოწვევის წინაშე დგას. ეს არის ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე გადასვლა. ჩვენ ვიცნობთ პროექტის ახალ გეგმას, ვიმედოვნებთ, რომ იგი უკეთესი იქნება. ამჟამად ძველი გეგმით ვმუშაობთ, მაგრამ ახალისათვის მზად ვართ. ვცდილობთ, ვეძებოთ სიახლეები, რათა ჩავრთოთ საგაკვეთილო პროცესში. ძიებისას გამიჩნდა იდეა, შემეგროვებინა მონაცემები სოფლის წარსული ისტორიის შესახებ და, საგაკვეთილო პროცესში სიახლის შეტანის მიზნით, სასწავლო გარემოში ჩართვისათვის ავარჩიე გაკვეთილის ორგანიზაციული ფორმა – საველე გაკვეთილი „ვისი გორისა ვართ“.

მონაცემების შეგროვება სოფელ მახალაკიძეებში დავგეგმეთ. ეს სოფელი ჩემი სოფლის გვერდითაა და ჩვენი მოსწავლეები, IX კლასიდან, ამ სოფლის საბაზო სკოლაში აგრძელებენ სწავლას. ამასთან, საველე მუშაობა რამდენადმე უცხო გარემოში ინტერესის ამაღლებას უწყობს ხელს.

იდეა გავაცანი კოლეგებს, მოსწავლეებს და, მათი მხარდაჭერის შემდეგ, ჩამოვაყალიბეთ მიზანი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება.

ბ) სასკოლო განათლებამ მოზარდს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული და რელიგიური ინტერესების სწორად განსაზღვრის უნარი უნდა განუვითაროს.

საველე გაკვეთილისთვის მოვამზადეთ საშინაო დავალებები, დამოუკიდებელი მუშაობისათვის სახლში.

დავგეგმე აქტივობები – ჯგუფური და წყვილებში მუშაობისათვის.

აქტივობა I: სოფელ მახალაკიძეების ისტორიულ-გეოგრაფიული მდებარეობა – სად მდებარეობს სოფელი და რა ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მდებარეობას, შესაბამისი ფაქტები (შეიძლება გამოვიყენეთ ამონარიდები აჭარის ისტორიის 1 ტომიდან, გაზეთიდან „შუახევი“, ინტერნეტრესურსიდან). მოსწავლეთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა თეზისები, რომელშიც აღნიშული იყო, რომ სოფელი მახალაკიძეები მდებარეობს მარეთის ხეობაში, ზღვის დონიდან 980 მეტრ სიმაღლეზე. მდინარე ჩირუხის წყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე გაფენილ სოფელს სანალიის წყალი ჩამოუდის, რომელზეც მცირე ჰესი აიგო, ასევე, მოსაზღვრე სოფლებია – ოლადაური და პაპოშვილები. მახალაკიძეებზე გადიოდა შუასაუკუნეების საქარავნო გზა. მგზავრი, სხალთა-ხიხანის ხეობიდან, ფურტიო-მომწვრის ან სხალთა-გორის გზებიდან გადმოდიოდა. ისტორიულ ტაო-კლარჯეთში კი, სანალიის მთებიდან ან ჩირუხიდან გადადიოდა.

აქტივობა II. „ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრი მტკივა“.

ინსტრუქცია წყვილებში მუშაობისათვის

მოვინახულეთ სოფლის ისტორიული ძეგლები, გადავიღეთ ფოტოები და აღვწერეთ:

I წყვილი – მახალაკიძეების ციხე;

II წყვილი – ოთარ დარჩიძის კარ-მიდამოში არსებული ნანგრევები.

მოსწავლეთა საველე მუშაობით მოპოვებული მასალებია:

I წყვილი: სოფლის კლდის თავზე აღმართული მახალაკიძეების ციხე. იგი გოგლაურას (დარჩიძეების) და ცინარეთის ციხეების შუა მონაკვეთია. შემორჩენილია ნაგებობის ნაშთები. ჩამოშლილია ქვები და დუღაბი.

ციხე ქონგურეთიდან მოჩანს მარეთის ხეობის სოფლები. ამ ციხეზე, 2014 წელს, სხალთის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, ჯვარი აღიმართა. სანალიის მთას წარსული დიდება დაუბრუნდა (წარმოდგენილი გვაქვს ფოტოკოლაჟი ციხის ხედებით).

II წყვილი: სოფლის მკვიდ ოთარ დარჩიძის საკარმიდამო ნაკვეთში შემორჩენილია ნანგრევები, სპეციალისტების მოსაზრებით ამ ადგილას სალოცავი საყდარი ყოფილა, რომელიც დანგრეულა მტერთა შემოსევებისა და თურქთა ბატონობის წლებში.

ფოტოკოლაჟი – ნანგრევების ამსახველი.

ინტერვიუ

აქტივობა III. ტოპონიმებში შემონახული სოფლის ისტორია.

ინსტრუქცია წყვილებში მუშაობისათვის

შესავალი: მახალაკიძეების საჯარო სკოლის მასწავლებელთან, ზურაბ მახარაძესთან ჩავწერეთ ინსტრუქტირებული ინტერვიუ.

გავეცანით ტოპონიმების განმარტებას და გამოვიყენეთ გაკვეთილზე.

ინტერვიუს შემდეგ მოპოვებული მასალა

ტოპონიმების განმარტებები:

მახალაკიძეები – სულხან საბას განმარტებით, მახა – ყანა, ხოლო მახალი – ხორბლის ჯიში, რომელიც დღეს რაჭა-ლეჩხუმშია შემორჩენილი. აქედან გამომდინარე, შიძლება ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ყოფილა პატარა ყანა, სადაც ხორბლის ჯიში – მახალი ითესებოდა.

სოფელში საყდარი რომ არსებობდა, ამას ადასტურებს ტოპონიმი „ხუცური“. ეს ტერიტორია ადრეც სახნავ-სათიბი იყო, ახლა კი დასახლებული პუნქტია. საფიქრებელია, რომ ეს სახნავი მიწები საეკლესიო იყო, ამიტომაც მას ხუცურს უწოდებენ. საინტერესოა ზოგიერთი უბნისა და სახნავ-სათესი მიწის სახელწოდებების წარმოშობაც.

აქტივობა. IV. „სოფელი შრომითადი“

ინსტრუქცია წყვილებში მუშაობისათვის

გავეცანით ამონარიდებს წყაროებიდან, გავმართეთ ინტერვიუ ხანდაზმულ ადამიანებთან და გავარკვიეთ, შრომის რა დარგები იყო განვითარებულ სოფელში.

მოპოვებული მასალები

წარსულში განვითარებული ყოფილა სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი: მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა.

მევენახეობა უძველესი დარგი რომ უნდა იყოს, ამას მიწაში ჩაფლული ქვევრები მოწმობს. ვაზისადმი პატივისცემა ისევე ადრეულია, როგორც ადამიანის დასახლება და გამრავლება. მაღალმთიან სოფლებში, უძველეს დროშიც კი, ჯამებზეც ყურძნის მტევანი და ვაზის ჩუქურთმებია გამოსახული.

გადმოცემის თანახმად, ყურძენს ხის საწნახელში წურავდნენ. თურქებს, შემოსვლისთანავე, გაუნადგურებიათ მაღლარი ჯიშის ვენახები. შემონახულია ხილის მრავალი ჯიში, განსაკუთრებით მსხალი, ვაშლი, ქლიავი.

ვაშლი: წითელი ვაშლი, შაქარა ვაშლი, დემირა, მაგარი ვაშლი, ბაღის ვაშლი.

მსხალი: ხეჭეჭური, ბარაქა, უწყვეტა, შავმსხალა, მსხალთაფლა, ბოქშვა, ყვითელა, თავრაჯულა.

ქლიავი: ოტური, თეთრი ქლიავი, წითელი ჭანჭური, ღორა ქლიავა.

აქტივობა V. „შვილთმრავლობა – სოფლის სიძლიერე“

ინტერვიუ ინდივიდუალური მუშაობისათვის. შევხდით იმ დედებს, რომელთაც ოთხი ან მეტი შვილი ჰყავთ და ჩავიწერეთ ინტერვიუ (ინტერვიუს ამსახველი ფოტოები).

აქტივობა VI. საველე გაკვეთილის შემაჯამებელი შეხვედრა.

მოსწავლეთა ჯგუფისა და წყვილების მიერ შესრულებული აქტივობის პრეზენტაცია.

შეფასება – თვითშეფასების ცხრილით.

კრიტერიუმები	შესანიშნავად	დამაკმაყოფილებლად	ვსაჭიროებ გაუმჯობესებას
აქტივობა შევასრულე დაგეგმვის შესაბამისად			
ახალ სიტუაციაში შევძელი შეძენილი ინფორმაციის გამოყენება			
სიტყვიერი და ვიზუალური მხარეები ერთმანეთის შესაბამისად წარმოვადგინე			
ვთვლი, რომ ჩემ მიერ მოპოვებული მასალა საინტერესოა			

შეიძლება ითქვას, რომ შეფასების სქემა არც იყო საჭირო, რადგან შედეგი აშკარა და თვალსაჩინო იყო. დადებით განწყობას აპლოდისმენტებიც ადასტურებდა, რომელიც მოწონების ნიშნად გაისმოდა.

საველე გაკვეთილისათვის მზადების პერიოდი ძალიან საინტერესო და მამოტივირებელი გამოდგა მოსწავლეებისთვის. იდეამ, სხვა სოფლის შესახებ მოგვეგროვებინა მასალები, გაამართლა, მათ გაიცნეს ადამიანები, ისწავლეს ინტერვიუს აღება, ჩანაწერების გაკეთება, სიტყვიერი მასალის ვიზუალური მასალით გამდიდრება, წყაროების მოპოვება-გამოყენება; შეიძინეს ქცევითი და პრაქტიკული უნარები. ყველაზე დიდ მონაპოვრად მიმაჩნია ის, რომ მოსწავლეებში ამაღლდა წარსულის ცოდნა და პატივისცემა. მათ გააცნობიერეს საიდან მოდიან, სად არის მათი ფესვები, გაუჩნდათ ეროვნული სიამაყის გრძნობა, სურვილი კიდევ მეტი შეისწავლონ, წარსული დააფასონ, შეინახონ და დაიცვან. გაკვეთილის შედეგები სიხარულის მომტანი იყო, ეს იყო სამშობლოს სიყვარულის განცდა.

ინტერვიუ მახალაკიძეების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან, ზურაბ მახარაძესთან:

– ბატონო ზურაბ, თქვენ მუშაობთ სოფლის ტოპონიმების შეგროვებაზე. გთხოვთ გვითხრათ, როგორ აგროვებთ ტოპონიმებს?

– ვიწერთ ყველა ადგილის სახელწოდებას, განვმარტავთ ძირითად ტოპონიმს (ვუკავშირებთ ლიტერატურულ წყაროებში არსებულ სახელწოდებებს). შემდეგ ვიწყებთ სოფლის შემოგარენისა და მიკრო-ტოპონიმების ახსნა განმარტებებზე მუშაობას. შეგვიძლია დავალაგოთ წარმოშობის მიხედვით, ვთქვათ ასე:

- ისტორიული;
- ნიადაგის მიხედვით;
- გეოგრაფიული მდებარეობით;
- პიერონიმიკების მიხედვით;
- ბუნებრივი ძეგლების მიხედვით;
- უცხო დამპყრობლების – რუსეთთან და ირანთან დაკავშირებულ ტოპონიმებს, თითოეულს, ენობრივი და ისტორიული მიდგომით ვხსნით.

ვავლებთ პარალელებს, თუ სხვაგანაც არის იგივე ტოპონიმი. თუ ენობრივი მხრით მაინტერესებს, ყველა ტოპონიმს გრამატიკული ნომრების მიხედვით ვხსნი – ძირულ უფუძესთან დაკავშირებული ტოპონიმები, მაგალითად: წიფლნარი, ნიგზვნარი; კომპოზიტები: შუაგორა, კოდიწყარო; მსაზღვრელ-საზღვრული: გაღმა მთა და ა.შ.

აუცილებელია იმ ტოპონიმის მოხმობა, რომელსაც საფუძვლად ლეგენდა ან ისტორიული ფაქტი უდევს, მაგალითად: ფირალთ ნავალი – ვხსნით ფირალობას აჭარაში და ვასახელებთ ისტორიულ ფაქტს, ვურთავთ გრამატიკულ ახსნასაც; ნასოფლარი – ლეგენდის თანახმად, დასახელებული ადგილი მიწის მასამ ქვეშ მოიყოლა. აუცილებლად უნდა დავურთოთ ლეგენდა არსებული ტბის შესახებ.

ინტერვიუ ჩავწერეთ, ასევე, ჩვენი სოფლის მკვიდრთან, ჯამბულ ფუტკარაძესთან:

– რა გრძნობა გაქვთ, როცა თქვენს ეზოში ისტორიულ ნანგრევებს ხედავთ?

– სოფელ პაპოშვილებში, X-XI საუკუნეებში, ყოფილა მცირე ზომის საყდარი-ეკლესია, რომელშიც ლოცულობდა ღვთის მსახური, ანუ „პაპი“. ამ ღვთის მსახურის, პაპის სახელთან ასოცირდება სოფ. პაპოშვილების სახელი – პაპიშვილები, ანუ ახლანდელი პაპოშვილები. ამ ნასაყდრალის ადგილას დღესაც შემორჩენილია ნანგრევები.

გადმოცემის თანახმად (არის სხვა მოსაზრებაც), ჩემს საკარმიდამოს „ნაგომარსაც“ უწოდებენ. ლექსიკონის მიხედვით, „ნაგომარი“ სიტყვა „ნაომართან“ ასოცირდება. აქ მდგარა ეკლესია, თურქთა შემოსევის დროს, ამ ადგილას, მომხდარა ბრძოლა ქართველებსა და თურქებს შორის. სავარაუდოდ, ამ ბრძოლის შედეგად დანგრეულა ეს ეკლესია.

უდიდესი სიამაყის გრძნობა მეუფლება, როდესაც ამ ეკლესიის ნანგრევებს ვხედავ. იმდენად ძლიერია ჩვენი ფესვები, რომ აქედან ვერც ერთი მომხდური ვერ ამოგვძირკვავს – გვითხრა ბატონმა ოთარმა.

ვარდო ფუტკარაძე
პაპოშვილების საჯარო სკოლის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა 2016;
2. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის პროექტი;
3. საზოგადოებრივი მეცნიერებების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
4. აჭარის ისტორიის ნარკვევები, ტომი 1;
5. გაზეთი „შუახევი“, №8, 2018 წელი;
ინტერნეტრესურსები: *შუახევი, ზემო აჭარა, ვიდეომასალები.*

პედაგოგთა დასახმარებლად

ინსერტი – კრიტიკული აზროვნების განვითარების მეთოდი

ინსერტი არის კრიტიკული აზროვნების განვითარების მეთოდი და გამოიყენება ტექსტზე მუშაობის დროს. მეთოდის სახელწოდება წარმოდგება აბრევიატურისგან: I-interactive, N-noting, S-system for, E-effective, R-reading, T-thinking, რაც ასე უნდა გავიგოთ: ინტერაქტიური შემეცნებითი სისტემა ეფექტიანი კითხვისა და აზროვნებისთვის. სწორედ ამიტომ მას, ხშირად, ეფექტური კითხვის მეთოდსაც უწოდებენ.

ტექსტზე მუშაობა სწავლების მნიშვნელოვანი საშუალებაა, მაგრამ თანამედროვე გაკვეთილი გულისხმობს სწავლებისას ახალი მიდგომების გამოყენებას, მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, როგორ გამოიყენოს ამ აქტივობისთვის განკუთვნილი დრო ეფექტურად, რომ მოსწავლეს გაუუმჯობესდეს გააზრებული კითხვის უნარი, ხოლო გაკვეთილი საინტერესო „საკვლევ ლაბორატორიად“ გადაიქცეს.

ტექსტზე მუშაობა მოსწავლისთვის საინტერესო, მიმზიდველი, ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების, სიახლის გაგების საშუალება უნდა იყოს. სხვა შემთხვევაში, ვერ მოვახერხებთ მის ჩართვას პროცესში. მაგალითად, ვთავაზობთ გადაშალოს სახელმძღვანელო, წაიკითხოს მითითებულ გვერდზე მასალა და პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლე იხედება წიგნში, კითხულობს, მაგრამ ვერ იაზრებს, ვერ ამჩნევს მნიშვნელოვანს, რადგან მას ეს არ აინტერესებს და, შესაბამისად, გაკვეთილზე არ გვყავს პროდუქტიული მკითხველი მოსწავლე.

იმისათვის, რომ მოსწავლის საქმიანობა შედეგიანი იყოს, უპირველეს ყოვლისა, აქტიური უნდა გახდეს, პროცესში ჩართული და მოტივირებული, განახორციელოს სხვადასხვა სახის სააზროვნო ოპერაციები. სწორედ ამაში გვეხმარება ინსერტის მეთოდი.

ინსერტის გამოყენება ეფექტური საშუალებაა ტექსტზე მუშაობს დროს.

1. კითხვის დროს მოსწავლე მონიშვნებს აკეთებს, ამისთვის იყენებს სხვადასხვა ნიშნებს, მაგ.:

ეს უკვე ვიცი √
ეს ჩემთვის ახალია და გავიგე +
ეს სხვანაირად ვიცოდი –
ვერ ვხვდები, დასაზუსტებელია ?

2. ამის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ ცხრილს იმავე ნიშნების მიხედვით:

√	+	–	?
ცნებები და ტერმინები, რომლებიც მოსწავლემ იცოდა.	ის, რაც მოსწავლემ წაკითხვის შედეგად გაიგო.	რა ინფორმაციას ფლობდა და სინამდვილეში რა/როგორ ყოფილა.	ყველაფერი ის, რაც გაუგებარი იყო ტექსტში.

ერთ-ერთი მოსწავლის მიერ შევსებული ცხრილი, როცა ეცნობოდა ტექსტს დედა ტერეზას შესახებ

√	+	–	?
დედა ტერეზა – კათოლიკე მონაზონი, ქველმოქმედი	ნამდვილი სახელი და გვარი – იყო ალბანელი, დააფუძნა ორგანიზაცია „ქველმოქმედების მისიონერები“ და 1979 წელს, ჰუმანიტარული საქმიანობისთვის, ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. 40 წლის განმავლობაში უვლიდა კალკუტის ღარიბებს, დავრდომილებს და ობლებს.	1. ინდოელი მეგონა, ყოფილა ალბანელი. 2. ვიცოდი, რომ იყო ძალიან მრისხანე და ურთიერთობა ჰქონდა არაკეთილსაიმედო ადამიანებთან, აღმოჩნდა პირიქით.	მალე ორდენმა იგი კალკუტაში გააგზავნა. მისიონერთა ორგანიზაცია

3. მოსწავლეები კითხულობენ შევსებულ ცხრილს მსჯელობის გარეშე.

4. ტექსტის განმეორებითი კითხვა-გააზრების სტადია, ამავდროულად, ცხრილში ჩანაწერები ემატება, გადადის სხვა სვეტში.

5. რეფლექსია. ამ ეტაპზე, მოსწავლეები განიხილავენ თავიანთ ჩანაწერებს ცხრილში, მსჯელობენ, როგორ ხდებოდა ცოდნის დაგროვება, გადასვლა არსებული ცოდნიდან ახალ ცოდნაზე, რა მისცათ ინფორმაციაზე (ცნებები, ტერმინები და სხვ.) ჩაღრმავებამ, რომელი ინფორმაცია ესახებათ უფრო სანდოდ და ა.შ.

სჯობს, ინსერტის მეთოდი გამოვიყენოთ წყვილებში ან ტრიადებში მუშაობის დროს.

ცხრილების გაანალიზებისას თითოეული სვეტი ცალ-ცალკე განვიხილოთ. ეს დაეხმარება მოსწავლეებს მოუსმინონ ერთმანეთს, შეადარონ თავიანთი ნააზრევი, გააკეთონ დასკვნები.

თუკი ადრე მოსწავლე გაუგებარ ინფორმაციას ტოვებდა, ინსერტის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, ყურადღებას აქცევს მას, ამოიწერს და შეაქვს ცხრილში, რომ გაერკვეს და მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, შესაბამისად, ის აღარ იქნება პასიური მკითხველი.

შოთა ჩანტლაძე
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ფარცხმის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი

გამოყენებული წყაროები:
http://pedsovet.su/metodika/priemy/6007_priem_trkm_insert_na_uroke
http://pedsovet.su/metodika/6284_metody_raboty_s_tekstom

„წიგნებმა რომ არ იტირონ!“

დაწყებითი კლასების პედაგოგთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ პროექტ-მეთოდის გამოყენება პატარებთან ზედმეტია, კარგ შედეგს ჩვეულებრივი სტანდარტული გაკვეთილებითაც იღებენ. ამიტომაც, ჩემი წერილი შეეხება იმ უპირატესობათა შესახებ საუბარს, რომელსაც პროექტ-მეთოდზე მუშაობა გვაძლევს. სწორედ პროექტ-გაკვეთილებზე უვითარდებათ ბავშვებს ისეთი უმნიშვნელოვანესი უნარები, როგორიცაა: პრობლემის განსაზღვრა, ინფორმაციის მოძიება და კატეგორიზაცია, შემოქმედებითობა, საქმიანობის ორგანიზება, შედეგების ანალიზი, გადაწყვეტილების მიღება და პრობლემის გადაჭრა. თუ აღნიშნულ უნარებს საფუძველი დაწყებით კლასებში არ ჩაეყარა, როგორღა შეძლებს მოსწავლე მეორე და მესამე საფეხურებზე, საკუთარი თავის რეალიზებას? იგი ჩვენც, პედაგოგებსაც გვაძლევს საშუალებას, წარმოვაჩინოთ და გავიფართოვოთ საკუთარი აღმზრდელობითი და პროფესიული კომპეტენციები.

მინდა, ვისაუბრო უშუალოდ ჩემი და ჩემი მოსწავლეების მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ, რომლის სახელწოდებაა „წიგნებმა რომ არ იტირონ“. მიმაჩნია, რომ დღეს, როცა სახელმწიფო ახორციელებს უმნიშვნელოვანეს პროექტს – უსასყიდლოდ აწვდის მოსწავლეებს სახელმძღვანელოებს, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა ისეთი აქტივობების განხორციელებამ, რომლებიც მოსწავლეებში აამაღლებს პასუხისმგებლობის გრძნობას და მზრუნველობას წიგნების მიმართ. პროექტი იმ თვალსაზრისითაც ღირებულია, რომ ბავშვებს ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში, დავანახოთ წიგნთან ურთიერთობის უპირატესობა და პატარა ასაკიდანვე „დავამეგობროთ“ მასთან.

პრობლემა:

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, უფასოდ დარიგებული სახელმძღვანელოების მოვლის შუალედურმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ მოსწავლეები წიგნების მოვლა-პატრონობას გულისყურით არ ეკიდებიან. არსებობს საშიშროება იმისა, რომ წიგნმა დაკარგოს აქტუალობა, ამიტომ საჭიროა, ბავშვებმა კიდევ ერთხელ გაიაზრონ წიგნების, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის მიღების, შეუცვლელი მნიშვნელობა.

მიზანი:

მოსწავლეებმა შეძლონ წიგნის, როგორც ერთგული მეგობრისა და ცოდნის წყაროს შეყვარება; გაეცნონ მისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიას; გაიაზრონ რამდენად რთული სამუშაო ტარდება წიგნის გამოცემამდე; გაეცნონ სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპს. მოიძიონ ბიბლიოთეკაში დაზიანებული წიგნები და აღუდგინონ სიცოცხლისუნარიანობა, ხელოვნების გაკვეთილებზე მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, თავად შექმნან ილუსტრირებული „წიგნი“; მსჯელობის, შეძენილი ცოდნის პრაქტიკული რეალიზების, შემოქმედებითობის, საპრეზენტაციო უნარ-ჩვევების განვითარება.

ამოცანები:

1. გაეცნონ წიგნის შექმნის ისტორიას ინტერნეტში მოძიებული ფოტო და ვიდეომასალით;
2. სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის პრინციპის გაცნობა; ბიბლიოთეკაში არსებული დაზიანებული წიგნების მოძიება-აღდგენა;
3. ილუსტრირებული „წიგნების შექმნა“ საკუთარი სურვილით შერჩეულ ზღაპრებზე;
4. ლექსებისა და გამონათქვამების შესწავლა „წიგნზე“;
5. სასწავლო ვიდეორესურსის შექმნა;
6. ბუკლეტის შექმნა და გავრცელება;
7. პროექტის სასკოლო პრეზენტაცია.

სამუშაო გეგმა:

ეტაპები	03.12	04.12	07.12	10.12	18.12	20.12
1. მინი-ლექცია						
2. ბიბლიოთეკაში სტუმრობა და წიგნების „გაცოცხლება“						
3. ლექსებისა და გამოთქმების შესწავლა						
4. სასწავლო რესურსის შექმნა						
5. მუშაობა ბუკლეტის გამოცემაზე და გავრცელება						
6. პროექტის სასკოლო პრეზენტაცია						

რესურსები:

ინტერნეტი, ფოტო და ვიდეომასალა, კომპიუტერი, პროექტორი, სტეპლერი, წებო, სკოჩი, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები, ფლომასტერები, ნემსი, ძაფი, წიგნები, თაბახის ფურცლები.

შეფასება:

ხელოვნების გაკვეთილზე შექმნილი წიგნისა და მისი პრეზენტაციის შესაფასებლად, გამოვიყენე შემდეგი შეფასების რუბრიკა.

შეფასების რუბრიკა

ორგანიზებულობა	0	1
შემოქმედებითობა	0	1
ორიგინალობა	0	1
დამოუკიდებლობა	0	1
ილუსტრაციების სათაურთან შესაბამისობა	0	1
საკუთარი იდეის წარმოჩენა	0	1
მსჯელობა სხვათა ნამუშევარზე	0	1
საუბარი (გამართულია)	0	1
კონტაქტი აუდიტორიასთან	0	1
დროის ლიმიტის დაცვა	0	1
ქულათა საერთო რაოდენობა	10	

პროექტის არსიდან გამომდინარე, ძირითადად, გამოვიყენეთ განმავითარებელი შეფასება.

რეფლექსია

პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა ნაბიჯ-ნაბიჯ. ბავშვებისთვის საინტერესო აღმოჩნდა ისტორიის გაცნობა, თუ როგორ შეიქმნა წიგნი. უყურეს ინტერნეტსივრცეში მოპოვებულ მასალას თანამედროვე წიგნის ბეჭდვის შესახებ. ბიბლიოთეკაში სტუმრობის შემდეგ, დახმარება გაუწიეს სკოლის ბიბლიოთეკარს: დაასუფთავეს დამტვერილი წიგნები, ცალკე გადაალაგეს დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული სახელმძღვანელოები, შემდეგ კი დიდი მონდომებით ცდილობდნენ მათთვის „სიცოცხლის გახანგრძლივებას“.

არანაკლებ სახალისო და საინტერესო აღმოჩნდა საკუთარი წიგნების შექმნა: აირჩიეს ზღაპრები, დაამზადეს ილუსტრაციები, გააფორმეს ყდები და შეკრეს წიგნები.

პატარებისთვის შთამბეჭდავი აღმოჩნდა საინფორმაციო ბუკლეტის შექმნაზე მუშაობა და სხვა კლასებში მათი გავრცელება. ისინი დიდი გულისტკივილით უხსნიდნენ თანატოლებს, როგორი დაზიანებული წიგნები იპოვეს სასკოლო ბიბლიოთეკაში და როგორ აღადგინეს ისინი.

პროექტის მნიშვნელობის დასაბუთება:

პროექტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ პატარებს უზრდის პასუხისმგებლობასა და მოტივაციას, აჩვევს დამოუკიდებლობასა და ორგანიზებულობას.

პროექტის მსვლელობის დროს, მოსწავლეები ეხმარებოდნენ ერთმანეთს დავალებების უკეთ გაგებაში. ეს თვისებები, რომელსაც ჩემი აღსაზრდელების ასაკში უნდა ეზიაროს ადამიანი და გაითავისოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში იქნება წარმატების საწინდარი და კარგი მეგზური.

ჩემთვის, როგორც პედაგოგისთვის, საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აღნიშნულ პროექტზე მუშაობა. მიმაჩნია, რომ პროექტი შედგა, რადგან იყო საინტერესო, სახალისო და შთამბეჭდავი როგორც მოსწავლეებისთვის, ისე პედაგოგისთვის და მიღებულმა გამოცდილებამ ხელი შემიწყო პროფესიულ ზრდაში.

პროექტის განხორციელება შესაძლებელია I საფეხურის ნებისმიერ კლასში.

ირმა კუჭავა
ჩოხატაურის ნ.მარის სახელობის №1 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი

პედაგოგთა დასახმარებლად

ერთი გაკვეთილი კრიტიკული აზროვნების გასავითარებლად

გულნაზი პაპუნაშვილი
სსიპ თელავის №6 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

ეროვნული სასწავლო გეგმა მოითხოვს, რომ მოსწავლეს, ყველა საფეხურზე, განვუვითაროთ კრიტიკული აზროვნება, რომელიც რთული სააზროვნო უნარ-ჩვევაა. ამ უნარის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლე გააზრებულად სწავლობს და არ ცდილობს, ფაქტები და მოვლენები, ზოგადად გაკვეთილი, დაიზეპიროს. ამ უნარის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა ცხოვრებაში წარმატებას მიაღწიოს, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებაც კი არ შეეძლება, ამავდროულად, ძალიან ადვილი იქნება მისი მართვა ოჯახში, საზოგადოებაში, სამსახურში.

გთავაზობთ ჩემ მიერ მე-8 კლასში ჩატარებული ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილის გეგმას, რომელიც კოლეგებისთვის საინტერესო აღმოჩნდა. შესაძლებელია, გეგმა გამოიყენონ საზოგადოებრივი მეცნიერებისა და უცხო ენის მასწავლებლებმა.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებელი: გულნაზი პაპუნაშვილი
საგანი: ქართული ენა და ლიტერატურა
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო/მე-8კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 13
გაკვეთილის თემა: განსხვავებულობა
გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე შეძლებს ფილმის სათქმელის ამოცნობას, პრობლემის გამოკვეთას, საკუთარი მოსაზრების დასაბუთებას, მცირე ზომის ესეს დაწერას; განუვითარდება კრიტიკული აზროვნება; ანალიზის, შეფასების, დასკვნების გამოტანის უნარი; აუმაღლდება თანაგრძნობის – ემპათიის განცდა.
გაკვეთილის მსვლელობა:

მასწავლებელი ესაალმება მოსწავლეებს. იგი არ აცნობს მიზანს, ამისთვის იყენებს ფოტოს, რომელსაც პროექტორით აჩვენებს და სვამს კითხვას: რით არის საინტერესო ეს ფოტო, რამ მიიქცია თქვენი ყურადღება? (სავარაუდოდ, მოსწავლეები პასუხობენ, რომ ერთი ადამიანი განსხვავებულია).

მასწავლებელი ადასტურებს მოსწავლეთა პასუხებს და უხსნის მათ, რომ დღევანდელი გაკვეთილის თემა არის „განსხვავებულობა“, შემდეგ კი აცნობს მიზნებს, მეთოდებს, შეფასების სქემას (პრეზენტაციის საშუალებით).

მასწავლებელი **სვამს კითხვებს**: დავაზუსტოთ, რას ნიშნავს განსხვავებულობა? ვინ შეიძლება ჩავთვალოთ განსხვავებულად? რატომ ფიქრობთ, რომ ის ერთი ადამიანი საუბარშიც არ ერთვება, რას ამჩნევთ, როგორ განწყობაზეა? და სხვ.

პასუხების მიღების შემდეგ, შესაძლებელია ბავშვებმა ახსენონ ტერმინები ან მასწავლებელი **აცნობს**: ქსენოფობია, ჰომოფობია, რასიზმი (მსჯელობის შემდეგ, სლაიდით აჩვენებს მათ განმარტებებს).

შემდეგ აქტივობაზე მასწავლებელი აჩვენებს ანიმაციური ფილმის ნანილს

https://www.youtube.com/watch?v=okNRsJmBf_A

(იქამდე, ვიდრე მეგობრები გამოსავალს მოიფიქრებენ) და სვამს კითხვებს:

- როგორ გაგრძელდება ფილმი?
- შეწყვეტენ თუ არა ზღარბთან ურთიერთობას მისი ეკლების გამო?
- რა გამოსავალი შეიძლება მოინახოს?

გრძელდება ფილმი და იმართება **დისკუსია**:

- ვისი მოსაზრება დაემთხვა?
- როგორ უნდა მოიქცნენ მეგობრები, როცა ამგავრი პრობლემაა და ჩვენ გვერდით განსხვავებულია?

შემდეგი აქტივობა დისკუსიის შეჯამებაა – მოსწავლეები წერენ **მცირე ესეს** თემაზე „რას გვასწავლის ეს ფილმი“, რომელშიც პრობლემისადმი საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავენ.

მსურველები საკუთარ ნამუშევარს აცნობენ კლასს, თანატოლები აფასებენ მათთვის კარგად ნაცნობი შეფასების რუბრიკით (პასუხობს თუ არა ესე სათაურს? ჩანს თუ არა მსჯელობა? დაცულია თუ არა ესეს აგების სქემა? ჩანს თუ არა საკუთარი მოსაზრება და დასაბუთებულია თუ არა არგუმენტირებულად?), მასწავლებლის დახმარებით აძლევენ უკუკავშირს.

წაკითხული ნამუშევრებიდან გამოყოფენ თითო განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფრაზას, რომლებსაც ერთი მოსწავლე წერს დაფაზე (გაკვეთილის ბოლოს წერითი ნამუშევრები იკრიბება და მასწავლებელს მიაქვს შესასწორებლად).

გაკვეთილის დასკვნითი ნაწილისთვის, შესაძლებელია, მასწავლებელმა შესთავაზოს ორი მეთოდი: კულტურის აისბერგი (ასაკის შესაფერისად მოდიფიცირებული) და დებატები.

მოსწავლეები, მასწავლებელთან ერთად, ითვალისწინებენ დარჩენილ დროს და ირჩევენ ერთ-ერთს. პირველის არჩევის შემთხვევაში, იყოფიან ჯგუფებად, ურიგდებათ რესურსი ნაბეჭდი სახით და ფლიპჩარტზე ახარისხებენ ადამიანის თვისებებს, ხილულ და უხილავ მხარეებად.

საერთო საკლასო მიმოხილვით, ისინი ნათლად დაინახავენ, რომ ადამიანის უხილავი მხარე უფრო მეტია, ვიდრე ხილული და გამოიტანენ დასკვნებს, რომ შეიძლება ადამიანი სულაც არ გვეჩვენებოდეს განსხვავებულად, მაგრამ ყველას აქვს დაფარული მხარე და ერთი შეხედვით მისი შეფასება შეუძლებელია. ყველა ადამიანი განსხვავებულია, ხილული თუ არა, უხილავი მხარით მაინც და იგი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიცაა.

გაკვეთილის ბოლოს, მოსწავლეები წერენ შეფასებას – რით იყო ეს გაკვეთილი მათთვის მნიშვნელოვანი? რა გაიგეს ახალი და რის გამეორებას ისურვებდნენ?

საშინაო დავალებად, შესაძლებელია, მივცეთ პუბლიცისტური წერილი „მკვეთრი ინდივიდუალობა მიუღებელია?“ (რადგან წინა გაკვეთილებზე უკვე შეისწავლეს პუბლიცისტური წერილის წერა) ან მოემზადონ დებატებისთვის: ყველა ადამიანი განსხვავებულია, იგი ისეთი უნდა მივიღოთ, როგორიცაა! (დაეთანხმე ან უარყავი ეს მოსაზრება)

შეფასება ხდება ჰოლისტური რუბრიკით: ფილმის სათქმელის ამოცნობა, ჩართულობა, მსჯელობა და დასკვნების გამოტანა. განმსაზღვრელ ქულებთან ერთად, მასწავლებელი აძლევს უკუკავშირს (თუ კლასში არის მოსწავლე, რომელსაც გარკვეული პერიოდი უცხოვრია საზღვარგარეთ, მასწავლებელი იყენებს მის გამოცდილებას, როგორ გრძნობდა იქ თავს? ეხმარებოდნენ თუ არა იქაური თანატოლები, დაეძლია ენის ბარიერი? ხომ არ გრძნობდა თავს გარიყულად? რას ისურვებდა, როგორ მოქცეოდნენ მეგობრები?)

როგორ შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა ავტონომიურობას ფიზიკის გაკვეთილებზე

იმისათვის, რომ მივაღწიოთ მოსწავლეთა წარმატებებს, სასწავლო პროცესი სააზროვნო უნარების განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. სააზროვნო უნარების განვითარებას მრავალი ასპექტი განსაზღვრავს და მისი მიღწევა საბუნებისმეტყველო საგნებში, მათ შორის ფიზიკაში, მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ მასწავლებელმა სასწავლო პროცესი პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომებით წარმართოს, პირველ რიგში, საჭიროა, შეისწავლოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, მისწრაფებები და, ამის საფუძველზე, დაადგინოს არსებითი პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები.

21-ე საუკუნის მოქალაქე აღჭურვილი უნდა იყოს რთული არჩევანის გაკეთების და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების, პრობლემების გადაჭრის, პასუხისმგებლობის, ტექნოლოგიური და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევებით. მათი გამომუშავება რომ ადრეულ ასაკში უნდა იწყებოდეს, უდავოა. ამიტომ, ამ მიზნით, საგაკვეთილო პროცესში მიზნობრივად უნდა გამოვიყენოთ ავტონომიური ქმედებები.

საგაკვეთილო პროცესის კვლევამ მიჩვენა, რომ მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ არჩევანის გაკეთების საშუალება, უჭირთ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, შესრულება და თვითშეფასება, ნაკლებად თვითდაჯერებულები არიან. ამ პრობლემებზე მუშაობისას, გვახსოვდეს, რომ სწავლის მოტივაციას და დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებს ოთხი ფაქტორი: 1: **ცნობისმოყვარეობა; 2. თვითრწმენა; 3. დამოკიდებულებები; 4. მოთხოვნები.** მოსწავლეებში პოზიტიური დამოკიდებულებების და თვითრწმენის ჩამოყალიბებაში სწორედ მასწავლებელმა უნდა შეასრულოს გზამკვლევის როლი.

ვიგოტსკის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, რომელიც მხარს უჭერს ავტონომიური სწავლის იდეას, მოსწავლეებში სწავლების უნარ-ჩვევების განვითარება არასოდეს არ არის გამოყოფილი მათი სწავლის შინაარსისგან. დამოუკიდებლობა, ავტონომია და სწავლის გამოცდილების კონტროლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლებაში.

„როგორც არ უნდა ხსნიდეს მასწავლებელი გაკვეთილს, თუ მან ვერ შეძლო, მოსწავლეებს თავისი როლი შეასრულებინოს, გაკვეთილი უინტერესო იქნება“ – აღნიშნავს ქალბატონი მანანა ბოჭორიშვილი (მასწ. წიგნი გამოც: 2013წ.)

გთავაზობთ ავტონომიურობის ხელშეწყობის აქტივობებს, რომელთა გამოყენება საგაკვეთილო პროცესში მიზანშეწონილია.

№	აქტივობა	მიზანი
1	დაფიქრდი-დაწყვილდი-გააზიარე	ავითარებს პრობლემის გაანალიზების, თანამშრომლობისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარებს.
2	მოსწავლეებმა მოიფიქრონ და ერთმანეთს დაუსვან კითხვები	ეხმარება მოსწავლეებს თემის გაგება-გააზრებაში. მასწავლებელი ეხმარება კითხვების მომზადებაში ისე, რომ კითხვები იყოს ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით.
3	შესრულებული დავალების ერთად გარჩევა	თანამშრომლობისა და კომუნიკაციის, ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარება.
4	მცირე ჯგუფებში დამოუკიდებლად მუშაობა	დამოუკიდებლად მუშაობის და თანამშრომლობის უნარის განვითარება.
5	მოსწავლე ლიდერს მასწავლებლის როლში მიჰყავს შეხვედრები	გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, თანამშრომლობის, სხვისი აზრის მოსმენის ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება.
6	ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე ცხრილის გამოყენება	თემის შესწავლის ერთობლივი დაგეგმვა და სამოქმედო გეგმის შექმნა
7	ორმაგი ჩანაწერების დღიური	რეფლექსია, საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება.
8	მოსწავლის სწავლის აღრიცხვის ფორმა	თვითშეფასების გაკეთება, საკუთარი მიღწევების შეფასება სასწავლო მიზანთან მიმართებაში.
9	საშინაო დავალების გადახედვა	თვითშეფასების და საკუთარი საქმიანობის დაგეგმვის უნარის განვითარება.
10	მიღებული შეფასებების ცხრილში გადატანა	სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად ორგანიზების უნარი.
11	ჯგუფებში დამოუკიდებლად მუშაობა	დამოუკიდებელი მუშაობის და თანამშრომლობის უნარის განვითარება.
12	დისკუსია	საკუთარი აზრის გამოთქმის, ანალიტიკური აზროვნების უნარის განვითარება.
13	სიმულაციურ თამაშებში მონაწილეობა	საკუთარი შესაძლებლობების დემონსტრირება.
14	მრავალფეროვანი დავალებები	არჩევანის გაკეთების თავისუფლება და ხელმისაწვდომობა.
15	ურთიერთსწავლება	საკუთარი შესაძლებლობის, თვითკმაყოფილების განვითარება, ეფექტური კომუნიკაციის მიღწევა.

დაბოლოს, სასწავლო პროცესში ავტონომიური ქმედების გამოყენება მოითხოვს მოსწავლის, როგორც პიროვნების აღიარებას. ცნობილი ფსიქოლოგის, აბრაჰამ მასლოუს აზრით, აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებების გათვალისწინება, კერძოდ: საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის, აღიარებისა და თვითრეალიზაციისათვის ხელშეწყობა. მოსწავლის ძალისხმევის გაძლიერება და მისი წარმატების აღიარება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ერთ-ერთ წამყვან მეთოდად მიაჩნია რობერტ ჯ. მარზანოს.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ ზემოთ აღწერილი აქტივობების გამოყენებით, საბოლოო პროდუქტი – მოსწავლე უფრო მეტად მოტივირებულია/ცნობისმოყვარე, მოქნილი, ურთიერთდამოკიდებული, პასუხისმგებლიანი, კრეატიული/გაბედული, შემოქმედებითი და დამოუკიდებელია, რაც სწავლა-სწავლების პროცესის საბოლოო მიზანია.

გურამ ნათენაძე
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორი, ფიზიკის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. ეროვნული სასწავლო გეგმა;
2. რობერტ ჯ. მარზანო „ეფექტური სწავლება სკოლაში“;
3. სატრენინგო მასალები, „ლიდერობის აკადემია“;
4. საკუთარი კვლევის მასალები.

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

10 ~~ლარი~~
7 ლარი

9 ~~ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

7 ლარი
ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

8 ლარი
ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე


4 ლარი
თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის მეცნიერებათა მეცნიერებათა თაოსანი


12 ლარი
თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.

სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

ეროვნული გამოცდების სიმულაცია
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია

19 ლარი

19 ლარი

გავიმეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.

ტესტები ქართულ ლიტერატურაში
ეროვნული გამოცდისათვის

წიგნი I
V-XVIII სს მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

პროფესიული უნარები
თეორიული მასალა


15 ლარი

პროფესიული უნარები
ტესტები

15 ლარი

ფასდაკლება

მასწავლებლებს! უნიკალური შესაძლებლობა მარტივად მოემზადოთ გამოცდისთვის! კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომბინირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რეკომენდაციებით.

15 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებელთა გამოცდებისთვის

11 ლარი

ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო


6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

სასწავლო პროექტები

11 ლარი

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №7-8
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი